

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 5 აპრილი. 2023 წ. №39 (9571) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


„ადამიანი – დელფინი“



ჰენრი კუპრაშვილი:

## მთელი ერი ხელფეხშეკრული რომც ვიყოთ, მიზნისკენ სავალ გზას მაინც არ უნდა ავცდეთ!

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მე, ქართველმა კაცმა, მსოფლიოში სათავე დავუდე სრუტეთა გადაცურვის ახალ წესს. არადა, რატომღაც ამ გარემოებას აქცევენ ყველაზე ნაკლებ ყურადღებას, რომელიც უმეტესად სხვა ასპექტებზე გადააქვთ. არადა, საერთაშორისო სარბიელზე ქართველ სპორტსმენთა უამრავი ბრწყინვალე მიღწევის მიუხედავად, ჩვენში მაინც ნაკლებადაა რომელიმე სახეობაში პიონერი, პირველგამვლელი, ამდენად ამისა მე ყველაზე მეტად მეამაყება.

იხ. 5 გვ.

კვლავაც მხნედ და შემართებით!

## ნების სიმტკიცით გამორჩეული მეცნიერი, მშობლიური ენის სიწმინდის მცველი



იხ. 6 გვ.

ნიკო ლეკიშვილი:

## საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა დღესაც სამაგალითოა!

იხ. 4 გვ.



## 9 აპრილს ოპოზიციის ყველა მიტინგი აკრძალეთ!

2

ირაკლი კობახიძე:

## კეზერაშვილისგან დანაშაული არავის უკვირს, რადგან ის არის სისხლიანი, კორუმპირებული ოლიგარქი!

## ცხინვალში ექიმების, წამლებისა და სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტია

3

ირაკლი ღარიბაშვილი:

## პოლიციაზე თავდასხმას არავის ვაპატიებთ!

2

## თაღლითები „ევროპის სახალხო პარტიიდან“!




ბელგიის პოლიციამ ბრიუსელში „ევროპის სახალხო პარტიის“ სათავო ოფისში რეიდი ჩაატარა, – ამის შესახებ გამოცემა Euractiv-ს საკუთარმა წყარომ განუცხადა.

არსებული ინფორმაციით, პოლიციამ წაიღო კომპიუტერები, რომელიც უკავშირდება ფინანსური თაღლითობის საქმეს, რომელშიც სავარაუდოდ „ევროპის სახალხო პარტიის“ პერსონალი ფიგურირებს.

## სოსო გოგაშვილს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს სოსო გოგაშვილს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა გამოაცხადა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა სოსო გოგაშვილი 16 ივლისს დააკავეს.

მას ბრალდება წარედგინა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია – პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა.



იხ. 11 გვ.

## შეჩერდეს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობა!!!

# ირაკლი ღარიბაშვილი: პოლიციაზე თავდასხმას არავის ვაპატიებთ!



**...ტურიზმი, ვაჭრობა, მშენებლობა, წარმოება, ექსპორტი, – ყველა მიმართულებით გვაქვს სერიოზული პროგრესი და მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ამ ყველაფრის შენარჩუნებისთვის რა არის საჭირო და აუცილებელი. არაფერი არ იქნება, თუ არ გვექნება ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა. ძალიან რთული მდგომარეობაა მსოფლიოში. ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ასეთი გამოწვევა არ ყოფილა, უკრაინაში რაც ხდება, ხედავთ, რომ ომი არ ჩერდება უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი, 20%-ზე მეტი უკვე გადაქცეულია პოლიგონად და მიმდინარეობს გამანადგურებელი ომი. ქალაქები, სოფლები, რაიონები სწორდება მიწასთან და ამის შემჩერებელი არავინაა. ამიტომ, ის გეგმა, რაც არსებობდა ჩვენ წინააღმდეგ, უკრაინიზაციის გეგმა და მეორე პოლიგონად გადაქცევის გეგმა ჩვენს მტრებს, რა თქმა უნდა, ჩაუვარდათ კიდევ ერთხელ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 3 აპრილის სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პოლიციისთვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა არის მიუღებელი, რაზეც სახელმწიფო იქნება უკომპრომისო.

**„რამდენიმე დღის წინ პოლიციამ დააკავა პოლიციაზე თავდამსხმელი, და გახსოვთ, ყველამ ნახა კადრები, ერთ-ერთმა ანარქისტმა როგორ ესროლა პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილი“. ანუ ამ ადამიანს განზრახული ჰქონდა პოლიციელის ცოცხლად დაწვა. მე გამოვედი და ვთქვი ჩემი პოზიცია, რომ ამას არავის ვაპატიებთ, ესაა მიუღებელი, წითელი ხაზი, რომელზეც ჩვენ ვიქნებით უკომპრომისო. ასევე, თქვენ ნახეთ, საზოგადოებამ ნახა, რომ გეგმა იყო გაცილებით უფრო რთული, მათი გეგმა იყო მუდმივი ქაოსის დათესვა, საბოლოო მიზანი მათი, რა თქმა უნდა, იყო ქვეყნის დესტაბილიზაცია, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, რაც, რა თქმა უნდა, არავის გამოუვიდა და გამოუვა. რაც შეეხება ანარქისტებს და მათ ინსტრუქტორებს, მინდა შევახსენო ყველას, რომ ეს ადამიანები იყვნენ მომზადებული იმისთვის, რომ მომხდარიყო პროვოკაციები, პოლიციაზე თავდასხმები, და ეს ყველაფერი არის თვალსაჩინო. ხალხმა ნახა კიდევ ერთხელ, რომ ამის მიზანი გაცილებით უფრო შორსმიმავალი იყო, მაგრამ მადლობა კიდევ ერთხელ პოლიციას. სახელმწიფო დადგა ძალიან მტკიცედ, გამოაჩინა სიძლიერეც და გონიერებაც“,** – განაცხადა პრემიერმა.

**„კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს დეგრადირებული ოპოზიცია, რომელიც არის აბსოლუტურად ხელმოცარული, თუ ვინმე ეწინააღმდეგება დღეს იმ სიკეთეებს, რაც ჩამოვთვალე, – კეთილდღეობას, იმას, რომ მეტი შემოსავალი ნახოს ჩვენმა ხალხმა, ესაა სწორედ ეს დეგრადირებული, ექსტრემისტული ოპოზიცია. მათ არ უნდათ, რომ ქვეყანაში იყოს მაღალი ეკონომიკური ზრდა, მშვიდობა, სტაბილურობა. ყველაფერს აკეთებენ, რომ შესწირონ საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოება. ამიტომ, მე მინდა ყველას ვუთხრა ძალიან მკაფიოდ, რომ დღეს ხელისუფლება არის მოწოდების სიმაღლეზე, მტკიცედ და ძლიერად დგას, ვინარჩუნებთ მშვიდობას, სტაბილურობას, მაღალ ეკონომიკურ ზრდას, და ამ გზაზე ჩვენ ვერავინ შეგვეწინააღმდეგება. ეს მინდა ვუთხრა მათ. აქ გადის ჩვენი ეროვნული ინტერესები, ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ინტერესები და, ბუნებრივია, ამ ბრძოლაში ვიქნებით უკომპრომისო. მიუღებელია ის, რაც მოხდა, კატეგორიულად მიუღებელია. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც არის ბრალდებული და მხილებული პოლიციაზე თავდასხმის საქმეში. ერთი რამ მინდა შევახსენო ყველას, – მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რაც მოხდა კაპიტოლიუმზე თავდასხმის დროს, 4 ადამიანი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ადგილზე მოკლეს 4 ადამიანი, რომელიც შეიჭრა კონგრესის შენობაში. ჩვენთან ეს, თურმე, ნორმაა, რომ ეს ანარქისტები შეგვეშვა პარლამენტის შენობაში, თურმე, ნორმაა, რომ ცეცხლი გაუხსნან პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილებით“ და პოლიციამ არ უნდა იმოქმედოს, არ უნდა დავიჭიროთ არავინ, არავინ უნდა დავსაჯოთ და ამ ანარქისტებს და ქაოსის დამთესველებს, ქვეყნის მტრებს მივცეთ საშუალება, ქვეყანაში შემოიტანონ არეულობა.**

**ამას, რა თქმა უნდა, არ ვიზამთ. ამერიკაში, შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ასეული ადამიანი იქნა მხილებული, მრავალი ათეული წლით გაუშვეს ციხეში, ოთხი ადამიანი ადგილზე მოკლეს. ევროპის ქვეყნებში ხედავთ რაც ხდება, ევროპაში, როცა საქმე ეხება უსაფრთხოებას, სტაბილურობას, მანდ უკომპრომისო ბრძოლა მიდის. ჩვენთან ასე სუფთად ჩაატარა პოლიციამ ღონისძიება, არავინ დაშავებულა რეალურად, მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდეთ და დღეს გვეუბნებიან, რომ თურმე „მოლოტოვის კოქტეილს“ რომ ისვრის ვიღაც ანარქისტი და ქვებს რომ უშენენ პოლიციას, ამაზე უნდა დავხუჭოთ თვალი. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება და კანონი აღსრულდება ყველას მიმართ. ეს უნდა იყოს, რა თქმა უნდა, დაფუძნებული მტკიცებულებებზე და არავის უსამართლოდ არ დავსჯით, არ დაგვისჯია, არც არავინ დაისჯება. ეს მინდოდა მეთქვა. ჩვენ გვინდა ახლა დამშვიდება, საზოგადოებას სჭირდება მშვიდობა, სიწყნარე, მეტი სამუშაო ადგილები, მეტი კეთილდღეობა გვჭირდება და ის სიკეთეები, რაც ჩამოვთვალე. ესაა ჩვენი მთავარი ამოცანა, მეტი პროექტის მშენებლობა და მეტი განვითარება“...**

# ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობის“ პატრონებს არ უნდა შეეშინდეთ დეკეზერიზაციის!



**...ექვსი შენიშვნაა, რასაც გავიზიარებთ. საქმე ეხება სწორედ ამ ექვსი რეკომენდაციის გადაგზავნას ვენეციის კომისიაში. დაველოდებით დამატებით დასკვნას,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტის შესწორებული რედაქციის ვენეციის კომისიაში ხელმეორედ გაგზავნაზე საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, კანონპროექტს ივნისის ბოლომდე მიიღებენ.

**„მთლიანობაში ვენეციის კომისიის დასკვნა არის დადებითი და მათი პოზიციაა, რომ უნდა დაზუსტდეს ექვსი საკითხი, რომელიც არსებითად ტექნიკურია. ამაზე დამატებით დასკვნას დაველოდებით, ივნისის ბოლომდე კი, კანონპროექტს მივიღებთ. ეს კანონი უკრაინაში უკვე მოქმედებს და ძალიან მაღალი შეფასება მისცა ევროკომისიის პრეზიდენტმა. ვენეციის კომისიის დასკვნაც დადებითია, მაგრამ იმისათვის, რომ არ იყოს გარკვეული ხარვეზები დაშვებული, მიგვითითებენ ექვსი საკითხის დაზუსტებაზე. ეს ტექნიკური საკითხებია და ტექნიკურად შეგვიფასებენ, რამდენად სწორად იქნება. არსებითად ამბობენ, რომ კანონი კარგია“,** – განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, დავით კეზერაშვილმა აღიარა, რომ პოლიტიკაზე არაფორმალური გავლენა აქვს.

**„დეოლიგარქიზაცია ხომ არის მიზანი? – დებიძინიზაცია თქვა რასამ, რომელიც ვინც არის, იცით, ხომ? სინამდვილეში, დეოლიგარქიზაცია ნიშნავს ქვეყნის გათავისუფლებას ოლიგარქიული გავლენებისგან, რაზეც საუბრობდა კეზერაშვილი და რაზეც აღიარებითი ჩვენება დადო, რაც მის ინტელექტზე მიუთითებს. კეზერაშვილი არის უინტელექტო ადამიანი, რომელსაც წამოცდენები აქვს ხოლმე. მან აღიარა, რომ პოლიტიკაზე არაფორმალური გავლენა აქვს, „შავი ფულით“ ქართულ პოლიტიკას აფინანსებს და შესაბამისად, არის ოლიგარქი. კანონის მიღება საჭიროა იმისთვის, რომ რეაგირება მოხდეს. თუ მიზანია, დეოლიგარქიზაცია, „ნაცმოძრაობის“ პატრონებს არ უნდა შეეშინდეთ დეკეზერიზაციის. ჩვენი ინიციატივა ამ კანონის მიღება არ იყო, თუმცა გვითხრეს, რომ საჭიროა ქართულ პოლიტიკაში ოლიგარქიზაციის აღმოფხვრა, დღეს მთავარი გაცხადებული ქეისია – კეზერაშვილი! სხვა შემთხვევებიც არის, როცა ადგილი აქვს ოლიგარქიულ გავლენებს ქართულ პოლიტიკაზე, როცა შავი, სისხლიანი ფული იხარჯება. თუ ეს არის ამოცანა, მაშინ კანონი გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირმა უნდა თქვას, რომ დეოლიგარქიზაცია არ არის ჩვენი ამოცანა და მაშინ, მოვხსნით ყველაფერს“...**

# 9 აპრილს ოპოზიციის ყველა მიტინგი აკრძალეთ!



**ყოველ 9 აპრილს ჩვენი ქვეყანა პატივს მიაგებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისთვის დასჯილ თავის შვილებს. ჩვენს მოქალაქეებს მოაქვთ ყვავილები და სანთელს უნთებენ დაღუპულებს პარლამენტის შენობის წინ, ეკლესიებში, დაღუპულთა სახელობის სკვერებში. ეს დღე ჩვენი მოურჩენელი ტკივილისა და ამავე დროს სიხარულის დღეა, რადგან 9 აპრილის გმირების თანგანწირვამ მნიშვნელოვნად დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობა.**

**9 აპრილს რომელიმე პარტიის ან პარტიათა ჯგუფის მიერ საკუთარი მიზნებისთვის რაიმე მიტინგის თუ მსვლელობის ჩატარება არის 9 აპრილს დაღუპულთა ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა.**

**9 აპრილის გმირები მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ამ მოთხოვნას შეეწირნენ. პარტიების ერთი ჯგუფი მოითხოვს საქართველომ შეასრულოს ევროპელთა ყველა მოთხოვნა, ე.ი. გავხდეთ მათზე მთლიანად დამოკიდებულნი, რითაც როგორც მინიმუმი, ილახება ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩრდილი ადგება 9 აპრილის გმირების თავგანწირვას.**

**პარტიების ამ ჯგუფის მტკიცებით ჩვენი ქვეყანა თუ ევროპაზე არ იქნება დამოკიდებული, იგი გადაიქცევა რუსეთის გუბერნიად. ამ გაუნათლებელ, ე.წ. პოლიტიკოსებს, წარმოდგენაც რომ არ აქვთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე, პერსპექტივაზე, ჩვენი მოქალაქეების ინტელექტსა და შრომითუნარიანობაზე, საერთოდ გამორიცხავენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ განვითარებას.**

**პარტიების ამ ჯგუფის მიზანია, ისე როგორც საქართველოს უძრავი ქონება, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობაც გაყიდონ და სხვა ქვეყნების კოლონიად გადააქციონ საქართველო. ჩვენს ხალხს ეცოდინება თუ ვინ დაუჭერს მხარს 9 აპრილს დაღუპულ გმირთა ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფას.**

**ნუგზარ კოპაძე,**
დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში

# კეზერაშვილისგან დანაშაული არავის უკვირს, რადგან არის სისხლიანი, კორუმპირებული ოლიგარქი!

**მისგან დანაშაული არავის უკვირს, რადგან არის სისხლიანი, კორუმპირებული ოლიგარქი, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს – ქვეყანაში ვითარება მაქსიმალურად არიოს, ამას წლებია ცდილობს და, რა თქმა უნდა, ამ მიზანს ვერ მიაღწევს. კეზერაშვილის ბუნება იქიდანაც ჩანს, რომ მან „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილი აირჩია. მას სხვანაირ ადამიანებთან ურთიერთობა და სხვანაირი ადამიანების მართვა არ შეუძლია.**

**„ნაცმოძრაობას“ მაინც და მაინც ასეთი დეგრადირებული, უინტელექტო თავმჯდომარე უნდა ჰყოლოდა იმისთვის, რომ კეზერაშვილს მისი მართვა მოეხერხებინა. თვითონ კეზერაშვილიც დეგრადირებული და უინტელექტო ადამიანია, ეს არ არის სასაცილო, ეს ნამდვილად ასეა. ამ კაცის განცხადებები სამარცხვინოა, რადგან ყველამ იცის, რა მასშტაბის კორუმპირებული კაცია კეზერაშვილი. მან ფული რის ხარჯზე იშოვა?**

**ეს იყო ბიზნესის რეკეტი, პირველი და მთავარი დანაშაული. რამდენად სისტემური იყო ბიზნესის რეკეტი, ეს ყველას ახსოვს. ის ჯერ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი იყო და შემდეგ ბიზნესის ძარცვა და რეკეტი გააგრძელა არაფორმალური ოპოზიციიდან. მან ასევე გაძარცვა ქართული ჯარი და ამჟამადაც ძარცვავს ევროპელ პენსიონერებს. ის სამი მიმართულებით ფულს შოულობდა, რაც სამივე ერთმანეთზე სამარცხვინო ამბავია“,** – განაცხადა კობახიძემ.

# ენგურჰესში ციფრული მმართველობის დანერგვა იწყება

**ციფრული მმართველობის დანერგვის მიზნით, ენგურჰესს ავსტრიული კომპანია „ვერბუნდის" წარმომადგენლები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში უცხოელმა სპეციალისტებმა თაღოვანი კაშხლის ტერიტორია დაათვალიერეს, არსებულ ნაგებობებს დეტალურად გაეცნენ და ორგანიზაციაში მოქმედი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის დონის შესაფასებელი სამუშაოები ჩაატარეს.**

ციფრული მმართველობის დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური დავალების გასაწერად, ავსტრიელი ექსპერტების ძირითად ამოცანას ენგურჰესის საკონტროლო სისტემის შემოწმება და საოპერაციო სამსახურის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაციის მიღება წარმოადგენს.



**„გლობალურ სამყაროში ციფრული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება. ჩვენ კი ამ ინიციატივით საწარმოს მართვის პროცესს ვამარტივებთ, რათა მოხდეს ყველა იმ რისკის გადაზღვევა, რაც ადამიანურ ფაქტორზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, დაგეგმილია ენერგეტიკული ბირჟის გაშვება. შესაბამისად, რეფორმების ამ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ივაჭრებს და რა სტრატეგიით წავა კომპანია. ამასთანავე, ის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ამინდის პროგნოზთან, ჰიდროლოგიასა და საწარმოო-ტექნიკურ მდგომარეობასთან, ციფრული მმართველობით გადაზღვეული იქნება",** – განაცხადა ენგურჰესის კომერციულმა დირექტორმა ირაკლი შენგელიამ.

**„ჰიდროელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილების კუთხით, ჩვენი ორგანიზაცია ევროპაში ერთ-ერთი წამყვანია. მოხარულები ვართ, რომ ენგურჰესის საოპერაციო ტექნოლოგიების შეფასების მიზნით სწორედ ჩვენ მოგვიწვიეს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ უნდა გავცეთ რეკომენდაციები, რომლებიც ჰესის უფრო ეფექტური ფუნქციონირებისთვის არის მნიშვნელოვანი. ჩვენ ვმუშაობთ ქართულ კომპანია „იუჯითისთან" ერთად, რომელთა მოწვევითაც აქ ვიმყოფებით. ამ ვიზიტის მიზანია საოპერაციო სისტემის პერსონალთან გასაუბრება, რათა მივიღოთ ყველა ის ინფორმაცია თუ ცოდნა, რაც სიტუაციის შეფასებისთვის გვჭირდება. აქ პირველად ვარ და ვხედავ, რომ ეს არის ძალიან დიდი საწარმო, რომელიც მონიტორინგის სისტემის სრულ პაკეტს მოითხოვს და ამ პროცესში ძალიან ბევრი ტექნიკური აღჭურვილობაა ჩართული",** – განაცხადა ავსტრიული კომპანია „ვერბუნდის" საკონსულტაციო და მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვილფრიდ რაიხმა.

**„ეს პროექტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. პირველ რიგში, ეს არის ენგურჰესში ინფორმაციული ტექნოლოგიების დონის შეფასება. კერძოდ, რა დონეზე და რა სახის ტექნოლოგიებია აქ გამოყენებული, რამდენად პასუხობს ის თანამედროვე მოთხოვნებს, რა შესაძლებლობა გვაქვს იმისა, რომ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რომ მართვა უფრო ეფექტური გავხადოთ და წარმოების ხარისხი გავაუმჯობესოთ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მონაცემების მიღება სხვადასხვა სენსორიდან ეფექტურად და სწრაფად მოხდება, შესაბამისად, რეაგირების ხარისხი და დრო გაუმჯობესდება. ეს კი ელექტროენერგიის გამომუშავებაზე პირდაპირ აისახება და რაც მთავარია, საშუალებას მოგვცემს, გრძელვადიანად დავგეგმოთ სარემონტო სამუშაოები, სწრაფად მივიღოთ ინფორმაცია, რამე პრობლემა ხომ არ აქვს რომელიმე დანადგარს და ა.შ. ვინაიდან ენგურჰესი ბაზარზე გასვლას აპირებს, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და ანალიტიკის ნაწილი,"** – განაცხადა ტენდერში გამარჯვებული კომპანია „იუჯითის" ბიზნეს განვითარების დირექტორმა ზურაბ მაღრაძემ.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბერში გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ენგურჰესის ციფრულ მმართველობაზე გადასვლას ითვალისწინებდა. ეს ინიციატივა მოიცავს 3 ეტაპს: **1. არსებული სიტუაციის აუდიტი, ანალიზი და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა, 2. შესაბამის მოწყობილობებთან ერთად პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და 3. ციფრული მმართველობის დანერგვა.**

**ტენდერში გაიმარჯვა შპს „იუჯითიმ", რომლის ქვეკონტრაქტორიც არის ავსტრიული კომპანია „ვერბუნდი" (მისი 51%-ის მფლობელია ავსტრიის სახელმწიფო). სწორედ ამ პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების მიზნით ჩამოვიდნენ ავსტრიელი ექსპერტები საქართველოში. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში სამუშაო და გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილესთან, რომეო მიქაუტაძესთან. უცხოელი სპეციალისტები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ საზერიოშიც იმყოფებოდნენ.**

# ვენახების კადასტრის პროგრამა – დასავლეთ საქართველოში



**ვენახების კადასტრის პროგრამა წელს დასავლეთ საქართველოში განხორციელდება. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ვაჭარაძემ და სააგენტოს მევენახეობის მარეგულირებელი სამმართველოს უფროსმა დავით მაღრაძემ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გამართეს.**

ვენახების კადასტრი გულისხმობს დეტალური ინფორმაციის შეგროვებას მევენახეების, ღვინის მწარმოებლებისა და ვენახების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩატარებას, ასევე ყურძნისეული პროდუქტების მიკვლევადობას.

პროგრამა უკვე დასრულდა კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, სადაც ჯამში აღწერილია 45 312 ჰა ფართობის ვენახები, წელს კი სრულად მოიცავს საქართველოს მევენახეობის რეგიონებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები.

# ევროპაში ყველაზე გრძელი ზიპლაინი – „არწივის ბუდე"



**ევროპაში ყველაზე გრძელი ორზოლიანი ზიპლაინი ჩირუხის მთაზე მოეწყობა. მასშტაბური პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და მშენებლობის ტენდერი უკვე გამოცხადდა.**

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, არანაკლებ 1 752 მეტრი სიგრძის ზიპლაინი "არწივის ბუდის" დიზაინით აშენდება და პანორამული ხედი ხეობაზე ექნება. ზედა სადგური ზღვის დონიდან 2496 მეტრ სიმაღლეზე განთავსდება. ზიპლაინის ქვედა სადგურში ტურისტულ-ვიზიტორთა ცენტრი განთავსდება. საპროექტო არეალი დაახლოებით 3500 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. შენობაში კაფეტერია და ტერასა მოეწყობა. ორივე სადგურთან პარკინგი, ველოსადგომები და შესაბამისი განათებები განთავსდება. ტენდერის პირობის მიხედვით, პროექტის ღირებულება 9 512 716 ლარს შეადგენს. ზიპლაინის მშენებლობა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 2 ოქტომბრამდე განხორციელდება.

# თითქმის ჯანდაცვის გარეშე

## ცხინვალში ექიმების, წამლებისა და სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტია

**ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ჯანდაცვის სისტემა მძიმე მდგომარეობაშია,** – ამის შესახებ ადგილობრივ ჟურნალისტებს დე ფაქტო რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი აგუნდა პლიევა ესაუბრა.

მისი თქმით, მედიკამენტების დეფიციტის გარდა, ადგილობრივ ჯანდაცვის დაწესებულებებში, სამედიცინო ტექნიკა ხშირად ან გაფუჭებულია, ან ხარვეზებით მუშაობს. აგუნდა პლიევამ სამედიცინო აღჭურვილობის რეესტრი შექმნა და უკვე იცის სად რას ფლობენ, რა არის გაფუჭებული და რა არ აქვთ საერთოდ.

**მაგალითად, ცხინვალის რეგიონში რენტგენის აპარატი ორიოდე დაწესებულებას აქვს – 1 გამართულად მუშაობს, 1 ხარვეზებით, ერთი კი საერთოდ გაფუჭებულია. დე ფაქტო რესპუბლიკას არ შეუძლია არც ძველი აპარატურის შეკეთება და არც ახლის ყიდვა – ამისთვის საჭირო თანხები არ აქვს.**

ოკუპირებულ რეგიონში საერთოდ არა აქვთ ფლუროგრაფის აპარატი, ამიტომ ცხინვალი მის შესაძენად დახმარებას რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს სთხოვს. მოსკოვმა დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. ბიუჯეტის დოტაცია 2023 წელს თითქმის ერთი მილიარდი რუბლით შეამცირა. დე ფაქტო რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც მედიკოსების დეფიციტია. ამის გამოა, რომ მედპერსონალს ერთდროულად რამდენიმე პოზიცია აქვთ შეთავსებული და მათ ვერ ათავისუფლებენ. რუსეთი ცხინვალს კატეგორიულად სთხოვს, რომ ე.წ. შემთავსებლების და საბიუჯეტო თანხების უყაირათოდ ხარჯვის პრობლემა მოაგვაროს. აგუნდა პლიევა ამბობს, რომ შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, რადგან ადგილზე მწვავე საკადრო დეფიციტია

**ცხინვალელები ადგილობრივ ჯანდაცვის სისტემას არ ენდობიან და ჯანდაცვის სერვისების მისაღებად ვისაც სად შეუძლია იქ მიეშურება – ან რუსეთში, ან თბილისში.**

თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ცხინვალის რეგიონისთვის სპეციალური, უფასო პროგრამა მოქმედებს. ახალი კორონავირუსის პანდემიის დროს ცხინვალიდან მოქალაქეები თითქმის ყოველდღიურად გადმოდიოდნენ სამკურნალოდ.

რობერტ მამისაშვილი ცხინვალელია, ის ამჟამად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში დევნილთა მიმართულებაზე მუშაობს და არაერთ ცხინვალელ ნაცნობს და ახლობელს დაეხმარა, თბილისში, სამედიცინო სერვისის მიღებაში.

**„იქ, მძიმე მდგომარეობის გამო, ერთგვარ ტენდენციად იქცა, რომ ბოლო წლებში ცხინვალიდან თბილისში პაციენტები გადმოჰყავთ. ჯანდაცვის სამინისტროს რეფერალური პროგრამის ფარგლებში, იქიდან ჩამოყვანილ ადამიანებს ყველა დაწესებულება უსასყიდლოდ ემსახურება. ცხინვალელი პაციენტების ნათესავების დაზინავებაც აქვე ხდება. ეს იმდენად გამაოგნებელია მათთვის, რომ წლიდან წლამდე იმატებს ჩამომსვლელთა რაოდენობა"** – ამბობს რობერტ მამისაშვილი და განაგრძობს: **„კიდევ რამდენი წელი სჭირდება იქაურ მოსახლეობას ამ ილუზიაში იცხოვრონ, რომ თითქოს რუსეთი მათ სიკეთეს მოუტანთ? დროა მიხვდნენ, რომ ოკუპანტებს საერთოდ არ აინტერესებთ ცხინვალში მოსახლეობის ყოფითი საკითხების მოგვარება."**




ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ჰუმანიტარული საკითხებით არის დაკავებული, სწორედ წითელი ჯვრის მანქანებს გადმოჰყავთ საქართველოს კლინიკებში ცხინვალის მოქალაქეები.

**გოგა აფციაური,**
რადიო თავისუფლების კორესპონდენტი შიდა ქართლში.



## ნიკო ლეკიშვილი:

# საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა დღესაც სამაგალითოა!

**ნიკო ლეკიშვილი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი (1995-1998), თბილისის ყოფილი მერი (1993-1995), ერთ-ერთი იმ სახელმწიფო მოღვაწეთაგანია, რომელსაც საქართველოში აზერბაიჯანის ეროვნულ ლიდერ ჰეიდარ ალიევთან ჰქონდა ურთიერთობა.**

**– როგორ გახსენდებათ ჰეიდარ ალიევი?**

– ჩემი აზრით, ჰეიდარ ალიევი იყო ბოლო დროის ყველაზე გამორჩეული პიროვნება მსოფლიოში. რამდენჯერმე მქონია უშუალო კონტაქტი მასთან. დელეგაციების შეხვედრებზე ხშირად ვხვდებოდით ჰეიდარ ალიევს. მან პრაქტიკულად გადაარჩინა რთულ მდგომარეობაში მყოფი აზერბაიჯანი კონფლიქტისგან და შექმნა ძლიერი ეროვნული სახელმწიფო. ამჟამად მის გზას ჰეიდარ ალიევის ვაჟი ილჰამ ალიევი მიჰყვება. ის ძალიან ჭკვიანი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწე იყო.

**– გახსოვთ მასთან პირველი შეხვედრა?**

– დიახ, რა თქმა უნდა. ჩემი პირველი შეხვედრა ჰეიდარ ალიევთან 1993 წელს შედგა – როცა თბილისის მერად დავინიშნე. იმ დროს საქართველოში მძიმე მდგომარეობა იყო. სერიოზული პრობლემა გახლდათ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდება, ახალი წელი ახლოვდებოდა 14-15 დეკემბერი. მდგომარეობა იმდენად უარესდებოდა, რომ ქვეყანას პური ეწურებოდა. ვეძებდით პრობლემის გადაჭრის გზებს. საცხობებში საჭირო იყო ინჟექტორული მოწყობილობები და დიზელის საწვავი. საწვავი არსად იყო. თვითონ თურქეთშიც რთული მდგომარეობა იყო. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაგვეხმარებოდა, იყო აზერბაიჯანი. ბაქოში წავედი. როცა ჩემს კოლეგასთან ერთად ქალაქში ჩავედი, გაირკვა, რომ ბაქოშიც გართულებული ვითარებაა და ჩვენი იმედი შესაძლოა ამაო იყოს. ქალაქში ბნელოდა, იყო სირთულეები ელექტროენერგიის მიწოდებაში. როცა ვკითხე, რა შეგვიძლია გავაკეთოთ, მითხრეს, თუ ჰეიდარ ალიევი ბრძანებას გასცემს, იქნებ რამე გაკეთდეს. მასთან შემახვედრეს. მახსოვს, საღამოს დაახლოებით 10 საათზე ჰეიდარ ალიევის რეზიდენციაში მივედი. როცა კაბინეტში შევედი, მივხვდი, რომ პატარა გენერატორი ამუშავებდა ელექტროენერგიას. მეგობრულად და ღიმილით მომესალმა, თითქოს დიდი ხანია მიცნობდა. დავსხედით და დავიწყეთ საუბარი. მერე სუფრა გაშალეს და პირადად გვქონდა გულახდილი, მეგობრული საუბარი. ჯერ შევაფასეთ ვითარება და შევეხეთ საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებს. ჰეიდარ ალიევი ედუარდ შევარდნაძის მდგომარეობით დაინტერესდა. მოგვიანებით მან მკითხა, რა მიზნით ჩამოვედი ბაქოში. ავუხსენი საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობა და ვუთხარი, რომ ვიცი, არც აზერბაიჯანში გაქვთ იოლი მდგომარეობა. აღვნიშნე, რომ დახმარების გარეშე საქართველოში პურის რევოლუცია მოხდება. ჰეიდარ ალიევმა მკითხა, რატომ არ დაურეკა ედუარდ შევარდნაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით. მე ვუპასუხე, რომ ე. შევარდნაძემ არ იცის, რომ თქვენთან ჩამოვედი ბაქოში. „კარგიო“ თქვა და ოთახიდან გავიდა და ვიღაცას დაურეკა.



გარკვეული დროის შემდეგ ოთახში შემოვიდა წარმომადგენელი, ჰეიდარ ალიევმა ჰკითხა, აქვს თუ არა დიზელის საწვავი საქართველოში გასაგზავნად. წარმომადგენლის თქმით, იყო გარკვეული რაოდენობის საწვავი და მისი საქართველოში გაგზავნა შესაძლებელი იქნებოდა რკინიგზით. როდესაც საწვავის გადახდის საკითხი დადგა, მე ვთქვი, რომ აპრილში შევძლებთ თანხის გადახდას. ჰეიდარ ალიევმა ბრძანა, რომ ვაგონები გაევსოთ და საქართველოში გაეგზავნათ. გაოგნებული ვიყავი. თავად აზერბაიჯანი მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ჰეიდარ ალიევმა საქართველოს დახმარებაზე უარი არ თქვა. აზერბაიჯანიდან ჩამოტანილი საწვავი კარგა ხანს გვეყოფოდა. საცხობებს საწვავი დავურიგეთ და მოსახლეობას პურის დეფიციტი არ განუცდია. ჰეიდარ ალიევი რომ არ დაგვხმარებოდა, ვერც კი წარმომიდგენია, როგორი ვითარება იქნებოდა საქართველოში.

**– ყველაზე მეტად რა თვისებებით გამოირჩეოდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე?**

– ჰეიდარ ალიევი იყო დიდი პოლიტიკოსი, დიდი სახელმწიფოს მეთაური და უნარის მქონე პიროვნება. გარდა ამ თვისებებისა, ის გაბედული ადამიანიც იყო. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან ყურადღებიანი იყო. რაც შეეხება დახმარებას, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, გადახდა თებერვალში განვახორციელეთ. გავიდა გარკვეული დრო. ერთ-ერთი ორმხრივი ვიზიტის დროს ედუარდ შევარდნაძის გვერდით დავდექი. ჰეიდარ ალიევი მოგვიახლოვდა და რომ დამინახა მითხრა, დიდი მადლობა, რომ ცუდ მდგომარეობაში არ დამტოვეო.

მოგვიანებით რამდენიმე შეხვედრა მქონდა მასთან. ჰეიდარ ალიევს ყველა თემაზე ვესაუბრებოდი. ერთხელ ასტანაში შევხვდით. ქალაქის დაარსების დღეს საზეიმო ცერემონია გაიმართა. ედუარდ შევარდნაძე ყაზახეთში ვერ წავიდა. ჰეიდარ ალიევი მამასავით ზრუნავდა ჩემზე. ის დაინტერესდა ჩემი საქმიანობით. ვუთხარი, რომ პოლიტიკიდან წასვლას ვფიქრობდი. მას გაუკვირდა თუ რატომ და თქვა: „არ დატოვო ედუარდი მარტო“. საუბრისას რაღაც მთხოვა. მკითხა: „შეგიძლიათ ედუარდ შევარდნაძისთვის განკუთვნილი საქაღალდე მას გადასცეთ?“. ეს იყო დახურული საქაღალდე და ჰეიდარ ალიევმა მოკლე ინფორმაცია მომაწოდა შიგნით არსებული დოკუმენტების შესახებ. მისი თქმით, საქართველოში გარკვეული ჯგუფები ამზადებდნენ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ გამოსვლებს და საქაღალდეში იყო დეტალური მასალები ამის შესახებ. ჰეიდარ ალიევმა განაცხადა, რომ არ სურდა ე. შევარდნაძესთან ამ საკითხზე ტელეფონით საუბარი და ფიქრობდა, რომ ის ჩავიდოდა ასტანაში და პირადად დაელაპარაკებოდა. საქაღალდე ავიღე და დავემშვიდობე. მას აინტერესებდა, როგორ დავბრუნდებოდი თბილისში, შემომთავაზა, მისი თვითმფრინავით ბაქოში წავსულიყავი და იქიდან თბილისში დავბრუნებულიყავი. მასთან ერთად ფრენა არ შემეძლო, რადგან სხვა წარმომადგენლები მახლდნენ თან.

დიდი ნდობა გამომიცხადა ჰეიდარ ალიევმა იმით, რომ საქაღალდე მე მომცა. შეეძლო საქაღალდეში არსებულ მასალებზე არაფერი ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ამის ღირსად ჩამთვალა. ჰეიდარ ალიევს ისეთი ვაჟკაცური თვისებები გააჩნდა, რომ შეუძლებელი იყო მათი სწავლა რომელიმე პოლიტიკურ სკოლაში ან უნივერსიტეტში...

გავიდა გარკვეული დრო და აღარ ვმუშაობდი მთავრობაში. ამ დროს საქართველოში ჰეიდარ ალიევი ჩამოვიდა და ერთ ბანკეტზე შევხვდი. როგორც კი დამინახა, მაშინვე მომიახლოვდა, მომიკითხა და მითხრა, რომ იცოდა, რომ პოლიტიკიდან წავედი. მე ვუპასუხე, რომ ყველასთვის კარგია, რომ პოლიტიკა დავტოვე.

მე მჯერა, რომ ჰეიდარ ალიევი იყო ყველასგან გამორჩეული აზერბაიჯანელი აზერბაიჯანის მთელ ისტორიაში. მის დაწყებულ საქმეს დღეს მისი შვილი ილჰამ ალიევი აგრძელებს. დღეს აზერბაიჯანი წარმატებული ქვეყანაა. ყარაბაღის მეორე ომის მსვლელობამ აჩვენა, რომ ილჰამ ალიევს აქვს დიდი ინტელექტი. მან აჩვენა, რომ არის მაღალკვალიფიციური სახელმწიფოს მეთაური და სტრატეგი.

**– ჰეიდარ ალიევს საქართველოს დიდ მეგობარს უწოდებენ. ამბობენ, რომ მისი მმართველობის დროს აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა.**

– დიახ, ჰეიდარ ალიევი ქართველი ხალხისთვის გამორჩეული პიროვნება და დიდი მეგობარია. ქართველი ხალხი ჰეიდარ ალიევს დიდი პატივისცემით ეპყრობა.

რა თქმა უნდა, ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის მეგობრულმა ურთიერთობამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების განმტკიცებაზე. მაგრამ ჰეიდარ ალიევის დამოკიდებულებამ ქართველების მიმართ აქაც დიდი როლი ითამაშა. ის ედუარდ შევარდნაძის კოლეგა იყო, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა, ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი აქ საქართველო და ქართველი ხალხი იყო. ჰეიდარ ალიევს ჰქონდა საკუთარი სწორი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ჩვენს ურთიერთობაში დიდი როლი ითამაშა ედუარდ შევარდნაძის ფაქტორმა. კომუნიკაცია ასევე ადვილია, როდესაც ლიდერებს კარგი ურთიერთობები აქვთ. ისინი საათობით საუბრობდნენ ერთი-ერთზე. მახსოვს, როცა მოსკოვში დსთ-ს ფარგლებში შეხვედრები იმართებოდა, ჰეიდარ ალიევი და ედუარდ შევარდნაძე 3-4 საათის განმავლობაში საუბრობდნენ.

უნდა აღვნიშნო, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები დღესაც პოზიტიურად ვითარდება და მართლაც სამაგალითოა.

**ჯამილა ბაბაევა**

## რეჯეფ თაიფ ერდოღანი:

# აშშ-ის ელჩისთვის პრეზიდენტის კარი დახურულია!!!

თურქეთის პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა თურქეთში აშშ-ის ელჩის, ჯეფრი ფლეიკის სურვილი, შეხვდეს თურქეთის ოპოზიციის კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ქემალ კილიჩდაროღლუს.



**„ჩვენ უნდა ვასწავლოთ გაკვეთილი აშშ-ს, განსაკუთრებით, ამ არჩევნებზე. ჯო ბაიდენი იქიდან საუბრობს. ჯო ბაიდენის ელჩი ბატონ ქემალს ეწვევა. თქვენ ხართ ელჩი. აქ თქვენი თანამოსაუბრე არის პრეზიდენტი. ახლა რა სახით მოსთხოვთ პრეზიდენტს დანიშვნას? ჩვენი კარები დაკეტილია მისთვის, ის ველარ შემოვა. რატომ? თქვენ თქვენს ადგილს გაიგებთ. თქვენ გეცოდინებათ თქვენი, როგორც ელჩის მოვალეობა. თქვენ გაიგებთ, თუ როგორ მუშაობს ელჩი. კარგად ვემზადებით 14 მაისისთვის. კარგად მივდივართ. ჩვენ კონკრეტულად 6 მილიონზე მეტი ახალგაზრდა გვყავს და ამ ახალგაზრდის პოზიცია ამ არჩევნებზე ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია“,** – განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

# განაგრძე ბრძოლა, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ თქვენ გვერდით ვართ!!!



უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, ვიქტორ ორბანი ღია მხარდაჭერას უცხადებს ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს.

**„განაგრძე ბრძოლა, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ თქვენ გვერდით ვართ“,** – წერს ორბანი.

# აშშ-ის წარმატებული ოპერაცია სირიაში

**აშშ-ის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად სირიაში ტერორისტული ორგანიზაციის, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერია მოკლული.** როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, შესაბამის ინფორმაციას აშშ-ის ცენტრალური სარდლობა ავრცელებს.

აშშ-ის ცენტრალური სარდლობის ცნობით, მოკლული ხალიდ აიდ აჰმად ალ-ჯაბური პასუხისმგებელი იყო ევროპაში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ განხორციელებულ თავდასხმებზე. მან განავითარა დაჯგუფების ხელმძღვანელობის სტრუქტურა. ამერიკული მხარის ინფორმაციით, დარტყმის შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაშავებულან. აშშ-ის ცენტრალურ სარდლობაში აცხადებენ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ კვლავ წარმოადგენს საფრთხეს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ. გაერო-ს მიერ თებერვალში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, დაჯგუფებას სირიასა და ერაყში ხუთიდან შვიდი ათასამდე წევრი და მხარდამჭერი ჰყავს.

**„შესუსტების მიუხედავად, დაჯგუფებას კვლავ შეუძლია ოპერაციების ჩატარება რეგიონის ფარგლებში და გააჩნია სურვილი, განახორციელოს დარტყმა ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს გარეთ“,** – ნათქვამია ცენტრალური სარდლობის განცხადებაში. ამავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ ალ-ჯაბურის სიკვდილი დროებით შეაფერხებს დაჯგუფების უნარს, დაგეგმონ თავდასხმები.



## ჰენრი კუპრაშვილი:

# მთელი ერი ხელფეხშეკრული რომც ვიყოთ, მიზნისკენ სავალ გზას მაინც არ უნდა ავცდეთ!

**ჟურნალისტური მოღვაწეობის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უამრავ ძალიან საინტერესო ადამიანთან მომიხდა შეხვედრა, ბევრი მათგანი – მეცნიერი, პოლიტიკოსი, მოქმედი თუ ყოფილი მაღალჩინოსანი, სპორტსმენი თუ შემოქმედი, ჩემი რესპონდენტი ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იშვიათად მყოლია ისეთი თანამოსაუბრე, როგორიც ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, მსოფლიოში ხელფეხშეკრული უნიკალური ძველკოლხური საბრძოლო სტილის ამღორძინებელი, ტელეჟურნალისტთა მიერ „ადამიან-დელფინად“ წოდებული, ბატონი ჰენრი კუპრაშვილია.**

**ბატონ ჰენრის წლების წინ, ჯერ კიდევ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმში“ მუშაობისას შევხვდი და ის წერილიც იმხანად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა. მაშინ იგი სახელმწიფო სამსახურში იყო, სახელმწიფო საბჭოში მუშაობდა, ახლა კი იგი – ისტორიკოსი და ჟურნალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორია, რომლის 54-წლიანი მოღვაწეობის სამეცნიერო მონაგარი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომია, მათ შორის ცხრა მონოგრაფია, მრავალი სამეცნიერო სტატია და ხუთ ასეულზე მეტი პუბლიცისტური წერილია, რომელთა დიდი ნაწილი წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა.**

– დღესდღეობით პუბლიცისტური შემოქმედებისთვის ნაკლებად მცალია, – ამბობს ბატონი ჰენრი. – ამას კიდევ ის ემატება, რომ კომუნისტების დროსაც და, მით უმეტეს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში, უფრო თავისუფლად, ერთგვარად უფრო ლაღად ვწერდი, ახლა კი გაცილებით მიჭირს მკითხველთან სრული გულღიაობით ლაპარაკი.

**– მაინც რა არის ამის მიზეზი?**

– ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ როცა საკუთარი აზრის პუბლიცისტური ფორმით გამოთქმას დააპირებ, ჩვენს უკიდურესად პოლარიზებულ საზოგადოებაში, გინდა-არ გინდა რომელიმე მკაფიოდ გამოკვეთილ პოზიციაზე უნდა დადგე, დღევანდელი სინამდვილე კი ისეთია, რომ ყოველივე ვიწროპარტიულ პრიზმაში განიხილება, ხოლო სახელმწიფოებრივი ინტერესები ამ დროს ხშირად მეორე პლანზეც კი აღარ არის... დღეს თუ რომელიმე დაპირისპირებულ ბანაკს არ განეკუთვნები, შეიძლება ელემენტარულად ჩაგქოლონ და სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ თუკი მაინც გადავწყვეტ ხოლმე ჩემი მოსაზრებების პუბლიცისტური წერილის სახით გამოქვეყნებას, მას ფსევდონიმით ვაწერ ხელს. არადა, ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია არც ერთი პოლიტიკური ძალის თუ კერძო პარტიის გავლენით არა მაქვს – ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასა და მიმდინარე პროცესებზე ჩემი საკუთარი, ყველასგან დამოუკიდებელი აზრი გამაჩნია.

უნდა გითხრათ, რომ 1992 წლამდე ორგანიზაცია საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი ვიყავი, მაგრამ შემდეგ დავტოვე მისი რიგები, რადგან ის რესპუბლიკურ პარტიას შეუერთდა, რაც, ჩემი აზრით, არ იყო სწორი ნაბიჯი. ვფიქრობ, რომ იმ დროს გონივრულად რომ გვემოქმედა, საბჭოთა წყობილებასა და მის გადმონაშთებს თავს გაცილებით ადვილად, შედარებით უმტკივნეულოდ დავაღწევდით, როგორც ეს, მაგალითად, ბალტიისპირელებმა შეძლეს. ამის თქმის უფლებას საკუთარი თვალით ნანახი მაძლევს: 1991 წელს, როგორც საქართველოს სახალხო ფრონტის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ესტონეთის სახალხო ფრონტის ყრილობას ვესწრებოდი. იმხანად მისი პრეზიდენტი ედგარ სავისაარი გახლდათ, რომელიც ამავდროულად, ესტონეთის პრემიერ-მინისტრიც იყო. იქ ნანახმა პირდაპირ გამაოცა: იმ უზარმაზარ დარბაზში ქვეყნის მთელი პოლიტიკური სპექტრი იყო წარმოდგენილი და აბსოლუტურად ყველა გამომსვლელი მხოლოდ ერთი იდეის გარშემო იყო დარაზმული – როგორ შეეძლოთ მინიმალური წინააღმდეგობების გადალახვით რუსეთისთვის თავის დაღწევა, რა გზით მიეღწიათ თავისუფლებისთვის. არ ყოფილა არც რუსეთის იმპერიის, არც გორბაჩოვის, არც მით უმეტეს ერთმანეთის ლანძღვა-გინება, როგორც ეს ჩვენში იყო დამკვიდრებული – მიმდინარეობდა მხოლოდ იმაზე მსჯელობა, თუ როგორი კანონები უნდა მიეღოთ უწინარესად, რა ნაბიჯები გადაედგათ, რათა დასახული მიზნისთვის უსწრაფესად მიეღწიათ.

მოკლედ, მაშინ მეგონა, რომ ჩვენ შევძლებდით თავისუფლებაში შესვლას ისევე გონივრულად, როგორც ეს ბალტიისპირელებმა განახორციელეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამდენად, მას შემდეგ, რაც სახალხო ფრონტიდან გამოვედი, ჩემი რომელიმე პოლიტიკური პარტიის პოზიციაზე ყოფნა გამორიცხულია, ვინაიდან ჩემს მოღვაწეობას მხოლოდ ერთი პრიორიტეტი აქვს – სახელმწიფო ინტერესების დაცვა, რაც უკლებლივ მთელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ძალიან ნაკლებად ახასიათებს.

**– განა ეს უკლებლივ ყველას ეხება?**

– საქმე ისაა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, აგერ უკვე 33 წელია, ყველა პოლიტიკურ ძალაში, პარტიული ინტერესების დაცვა და მათი ცხოვრებაში გატარება სახელმწიფო ინსტიტუტების უზრუნველყოფასთან შედარებით გაცილებით პრიორიტეტულია და სწორედ ამის გამოა, რომ დღესდღეობით საქართველო ვერა და ვერ იქცა ისეთ სახელმწიფოდ, რომელზეც ჩვენ ოდესღაც ვოცნებობდით და რომლისთვისაც ვიბრძოდით.

**– პოლიტიკასთან მიმართებაში თქვენი მოქალაქეობრივი პოზიცია გასაგებია, მაგრამ რა ადგილი უკავია ამ მხრივ თქვენს ცხოვრებაში სპორტს?**

– ამდენად, რომელიმე პარტიული ძალის პოზიციის გაზიარება ჩემთვის მიუღებელია როგორც მეცნიერისთვის, როგორც პედაგოგისთვის და, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც სპორტსმენისთვის, ვინაიდან ჩემთვის წარმოუდგენელია პოლიტიკურად ანგაჟირებული სპორტსმენი. მიმაჩნია, რომ თუკი შენ სპორტსმენი, მით უმეტეს რეკორდსმენი ხარ, რომელსაც გარკვეული წარმატებები გაქვს მოპოვებული, ეს არა მარტო შენი, ან შენთვის სიმპათიური რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ მთელი ქვეყნის, ყველა ქართველის კუთვნილებაა.

**– ეს, ვთქვათ, ზოგადად, და კონკრეტულად ცურვამ როგორ დაიკავა თქვენს ყოველდღიურ ყოფაში ესოდენ დიდი ადგილი?**

– რაც შეეხება ცურვას, ამ მხრივ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მე, ქართველმა კაცმა, მსოფლიოში სათავე დავუდე სრუტეთა გადაცურვის ახალ წესს. არადა, რატომღაც ამ გარემოებას აქცევენ ყველაზე ნაკლებ ყურადღებას, რომელიც უმეტესად სხვა ასპექტებზე გადააქვთ. არადა, საერთაშორისო სარბიელზე ქართველ სპორტსმენთა უამრავი ბრწყინვალე მიღწევის მიუხედავად, ჩვენში მაინც ნაკლებადაა რომელიმე სახეობაში პიონერი, პირველგამვლელი, ამდენად ამისა მე ყველაზე მეტად მეამაყება.

საერთოდ კი, სრუტეების გადაცურვას სათავე დაუდო დიდმა ინგლისელმა რომანტიკოსმა პოეტმა, ლორდმა ჯორჯ გ. ბაირონმა, რომელმაც 1810 წლის 3 მაისს ლა მანშის სრუტე გადაცურა – ეს იყო პირველი ოფიციალურად დადასტურებული ფაქტი – ოღონდ ცურვის თავისუფალი სტილით გააკეთა. მე კი დარდანელის 12 კილომეტრის სიგანის სრუტე კოლხური მხედრული სტილით, ხელფეხშეკრულმა გადავცურე 3 საათსა და 15 წუთში და ამდენად ამ სტილის სრუტეების გადაცურვის დამფუძნებელი გავხდი. მერე, 2013 წელს, ისევ დარდანელის სრუტე უკვე ჩემმა მოწაფემ, 17 წლის ანა ლომინაძემ გადაცურა.

ცურვაზე კი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე დავდიოდი – მტკვრის სანაპიროზე, დღევანდელი ლაგუნა ვერეს მოპირდაპირედ ეგრეთ წოდებულ „კუპალნიებში“, სადაც იყო 50-მეტრიანი აუზი, სპორტული კომპლექსით. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი, როცა საქართველოში ვითარება ძირეულად შეიცვალა – ქვეყანა ჯერაც მოუმწიფებელი სოციალიზმიდან უცბად ველური კაპიტალიზმის სინამდვილეში აღმოჩნდა და მოსახლეობის ძირითადი მასა ამისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, მე სახელმწიფო მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის აპარატში ვმუშაობდი და ჩვენც, როგორც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, ცხოვრება ნამდვილად არ გვილხინდა. თუმცა კი ისიც უნდა ვთქვა, რომ, დღევანდელობისა არ იყოს, მაშინაც უცბად გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც შექმნილ ვითარებას უმალ აუღეს ალღო და არათუ სხვებზე უკეთ ცხოვრობდნენ, არამედ დიდძალი ქონებაც „მოიჩალიჩეს“. სწორედ მაშინ იყო, რომ გამახსენდა – როცა ზაფხულობით ანაკლიის მახლობლად სოფელ გერგეთაში არდადეგებს ვატარებდი, პაპა ლევან ქურსუა, დარბაისელი კოლხი კაცი, ათას საინტერესო ამბავთან ერთად, გვიყვებოდა ბავშვებს, თუ უწინ როგორ ასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები მეომრებს ხელფეხშეკრულ ცურვას, როგორ ავარჯიშებდნენ მათ.

გუნებრივია კითხვა: ვიდრე გაცურავდეს, კაცმა რატომ უნდა შეიკრას ხელფეხი? ასე ცურვის სწავლის აუცილებლობის განმპირობებელი ორი ფაქტორი იყო: პირველი გარემოება ის იყო, რომ კარგი მეომრის მომზადებაში, ფიზიკური წვრთნისა და იარაღის ხმარების ცოდნის გარდა, უდიდეს როლს ასრულებს ფსიქოლოგიური მომზადება. არადა, გაკოჭილ ადამიანს წყალთან თუ მიიყვან, რაგინდ კარგი ცურვა იცოდეს, ინსტინქტური, პირველყოფილი შიში შეიპყრობს, მაგრამ თუკი ამ შიშს კაცი მოერევა და ხელფეხშეკრულიც კი დაძლევს წყლის სტიქიას, მისი ფსიქიკური მდგრადობის დონე გაცილებით ამაღლდება. ამდენად, ცურვის ამ უძველესი კოლხური მეთოდის წარმოშობის ეს ვერსია სავსებით გამართლებულია.

მისი გაჩენის კიდევ ერთი მომენტი ჩვენი ისტორიის მეტად სამწუხარო ფურცელს უკავშირდება, რასაც არა მარტო მტრების შემოსევების დროს ქვეყნიდან ტყვეთა გაყვანა, არამედ მავანთა მიერ თანამემამულეთა გაყიდვის სამარცხვინო ქმედება ერქვა, რასაც როგორც დიდგვაროვანი უგვანო პირები, ასევე მდაბიო ავაზაკები კადრულობდნენ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ზოგნი საკუთარ შვილებსაც კი ჰყიდდნენ... სხვათა შორის, ყოველივე ამას ბოლო ისევ რუსებმა მოუღეს... ჰოდა, ვიდრე ტყვეებს გემებში ჩაყრიდნენ და აღმოსავლეთის მონების ბაზრებზე წაასხამდნენ, ისინი გაკოჭილები სანაპიროზე ჰყავდათ დაყრილი და თუკი ვინმე საცოდავი მაინც მოახერხებდა წყლამდე მიღწევას, ასეთი ხელფეხშეკრული ცურვის მცოდნეს მონობიდან თავის დაღწევის რეალური შანსი უჩნდებოდა. ასეთი ალბათობა ზღვაშიც კი არსებობდა, თუკი კაცი გემიდან გადახტომას შეძლებდა... ეს კიდევ ერთი გარემოება გახლავთ, რამაც ცურვის ასეთი თითქოს უცნაური სტილის წარმოშობა განაპირობა. აქვე იმასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ ამ დროს ხელფეხშეკრული კაცი თავისუფლებისთვის იბრძვის, მის მოპოვებას ცდილობს, რაც, ბავშვობისდროინდელ ჩემს შინაგან განწყობას საოცრად ესადაგებოდა, რადგან ჯერ კიდევ სულ რაღაც 10-12 წლის ბიჭმა, ჩემს სამ მეგობართან ერთად, საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლ ჩოხოსანთა პატარა ჯგუფიც კი შევქმენით და ცოტა ხნის წინათ, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ჩვენ ტრადიციული, რიგით 50-ე შეხვედრაც კი აღვნიშნეთ...

იხ. 8 გვ.



დარდანელის სრუტის გადაცურვა, რომლის ორგანიზატორი ბატონი გვანჯი მანია გახლდათ, მსოფლიოსთვის ჩვენი სამამულო კულტურული მემკვიდრეობის, ამ უნიკალური სტილის მეტად გაცნობის სურვილი იყო.

# ნების სიმტკიცით გამორჩეული მეცნიერი, მშობლიური ენის სიწმინდის მცველი

**აკადემიკოს ავთანდილ არაბულს – აღიარებულ ენათმეცნიერს, მშობლიური ენის სიწმინდის განუხრელ დამცველს, მოქალაქეობრივი ღირსებებით აღჭურვილ პიროვნებას, გამორჩეულ კოლეგასა და მეგობარს – 70 წელი შეუსრულდა!**

ავთანდილ არაბულს ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც ქართული საენათმეცნიერო სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, როგორც დარგის სანდო ექსპერტსა და სიახლეთა დაუცხრომელ მაძიებელ-მკვლევარს; მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ქართველურ ენათა შედარებითი პრობლემატიკის კვლევის, ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ასპექტების შესწავლისა და ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის მოვლისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის წლებში გამოიჩინა თავი ავთანდილ არაბულმა როგორც ნიჭიერმა და შრომისმოყვარემ, მეცნიერული აზროვნებითა და ალღოთი, სამეცნიერო დიაპაზონით დაჯილდოებულმა მკვლევარმა; იგი იმთავითვე მოექცა ისეთი ღვაწლმოსილი პროფესორების ყურადღების წრეში, როგორებიც იყვნენ ივანე იმნაიშვილი, ივანე ქავთარაძე, ირაკლი ვეშაპიძე და სხვ. მისმა ძიებებმა აღიარება მოიპოვა ჯერ კიდევ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მონაწილეობის დროს. ამას უშუალოდ მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაბარება და ინტენსიური პროფესიული წრთობის სამი წელი აკად. არნოლდ ჩიქობავას მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო პროგრამითა და პროფ. ივ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. საკანდიდატო სადისერტაციო შრომამ, რომელიც ცნობილია მონოგრაფიის სახით – „მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში" (1984), ხარისხის დაცვის დროს მაღალი შეფასება დაიმსახურა არნ. ჩიქობავასა და უფროსი თაობის სხვა სპეციალისტების მიერ. ასპირანტობის დროიდანვე დაიწყო (სახელშეკრულებო ფორმით) მან ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობა და ყველა სამეცნიერო თანამდებობრივი საფეხური განვლო, დაწყებული მეცნიერ-მუშაკობითა და დამთავრებული განყოფილების ხელმძღვანელობით. სამეცნიერო კვალიფიკაციის სრულყოფის შემდეგი საფეხური ისტორიულ-შედარებითი კვლევების მიმართულებით წარიმართა. კერძოდ, სადოქტორო დისერტაცია შეეხებოდა ქართველური ენების ისტორიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა უძველესი ქართველური ლექსიკური მონაცემების გენეზისის, ზმნური და სახელური სემანტიკის ძირ-ფუძეთა ურთიერთმიმართების, სიტყვაწარმოების უძველესი ფენების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ამ კვლევის შედეგები, მნიშვნელოვან თეორიულ სიახლეთა შემცველი, სამეცნიერო მიმოქცევაში ცნობილია მონოგრაფიის სახით: „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში" (2001). საზოგადოდ, ქართველური ენებისა და ძველი ქართულის ენობრივი საგანძურის კვლევა ა. არაბულისათვის ის სფეროა, რომელშიც განსაკუთრებულად იგრძნობა მისი სამეცნიერო ინტერესების ინტენსივობა და ქმედითობა. ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევების გარდა, ავთანდილ არაბულის სამეცნიერო ინტერესები ნაყოფიერი აღმოჩნდა არაერთი სხვა მიმართულებით: ფონოლოგია და მორფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ენის ნორმალიზაცია და სტილისტიკა...

**ა. არაბული გახლავთ 200-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, მათ შორისაა წიგნები, ლექსიკონები, საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოები, სტატიები და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ინტეგრირებული კვლევები ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური ამოცანების კოორდინაციით. მას არაერთი პუბლიკაცია ეკუთვნის როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ, სხვადასხვა დროს მისი ინტერესის სფეროში მოქცეულა ლიტერატურულ-ენობრივი მემკვიდრეობა ისეთი ავტორებისა, როგორებიც არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, ნ. ბარათაშვილი, გრ. რობაქიძე, გ. ლეონიძე, გ. შატბერაშვილი, ანა კალანდაძე, მ. ლებანიძე და სხვ. და ყოველი ამგვარი კვლევა ავტორისა არის შემცველი განსაკუთრებული სიახლისა, იმ ახლებური ასპექტების წარმოჩენა, რომელნიც მანამდე ან შეუმჩნეველი იყო, ანაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ სიახლეების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ა. არაბულის ახლებური მიდგომები რუსთაველისა და მისი სამოღვაწეო ეპოქის ურთიერთმიმართების შესახებ („რუსთაველი და მისი პოემა", 2016). ხოლო მისი წიგნი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ, „მარადიული თანამედროვე" (2021), შეიძლება ითქვას, თავისი სიახლითა და ორიგინალურობით თავის ადგილს იკავებს იმ ერთეულ გამოკვლევებს შორის, რომელთაც ახალი საფეხური შექმნეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით.**



ავთანდილ არაბულმა თავისი კვლევებით სათანადო პატივი მიაგო ქართველოლოგიის ღირსეულ წარმომადგენლებს, თავის შორეულ და უშუალო მოძღვრებს, ამისი დასტურია მისი საფუძვლიანი ნარკვევები ისეთ მეცნიერთა თეორიული მემკვიდრეობის შესახებ, როგორებიცაა: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ივანე იმნაიშვილი, ალექსი ჭინჭარაული, მზექალა შანიძე და სხვ. მან ღირსეულად მოიხადა ვალი დედაუნივერსიტეტის იმ (ახალი ქართული ენის) კათედრის წინაშეც, რომელსაც იგი ხელმძღვალობდა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს ე.წ. რეფორმა დაატყდა თავს, კერძოდ, ელ. ბაბუნაშვილთან ერთად შექმნა და გამოსცა ამ კათედრის ნაყოფიერი მოღვაწეობის ისტორია.

ავთანდილ არაბულის მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტებს შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში. თვით ბატონმა მიხეილ ჭაბაშვილმა, ქართული ლექსიკოგრაფიის „ახალმა სულხან-საბამ", მოიწადინა, რომ მისი, როგორც განყოფილების გამგის, შემცვლელი ა. არაბული ყოფილიყო და ინსტიტუტის დირექტორის, აკად. ქეთევან ლომთათიძის გადაწყვეტილებით მაშინ ახალგაზრდა მეცნიერი გადაიყვანეს ამ ძლიერი და ავტორიტეტული განყოფილების სამუშაოთა ორგანიზებისათვის. ა. არაბულს უპირველესად ჩააბარეს ქართველოლოგიის გასაკუთრებული ამოცანის - ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის სამუშაოების წარმართვა. ამ სამეცნიერო პროექტმა მოკლე ხანში მართლაც სასურველი დინამიკა შეიძინა, მაგრამ გარკვეულ ცვლილებათა ეტაპზე ეს წამოწყება მიზანმიმართულად ჩაშალეს. ამიტომაც პირველ პლანზე გადმოინაცვლა მეორე ზეამოცანამ – ეს იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ახალი რედაქცია. ქართული პოლივალენტოვანი სახელმწიფო ენისა და, საზოგადოდ, ქართველოლოგიის განვითარების ახალი ეტაპი გარდაუვალად მოითხოვდა იმ საფუძვლების ახლებურ მომზადებას, რომელთაც მეოცე საუკუნის შუა წლებში დაეფუძნა ეროვნული მეცნიერებისა და განათლების განვითარება. ამიტომაც შეფასდა იმ დროს აკად. არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით გამოცემული რვატომეული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" როგორც „ვეფხისტყაოსნის" ბადალი ძეგლი ქართული ენისა და კულტურის ისტორიაში.

**ნახევარი საუკუნე გასულიყო 8-ტომეულის გამოსვლიდან და სახელმწიფო ენის განვითარების ახალი მასშტაბები გარდაუვალად მოითხოვდა ამ ამოცანის შესრულებას. მაგრამ ადვილი არ იყო მაშინ იმ აზრის გათავისება, რასაც ახალი ხელმძღვანელი ამკვიდრებდა, მეტიც, იგივე ძალები დღესაც წარმატებით ახერხებენ ხელის შეშლას ამ მიმართულებით...**

**ა. არაბულისა და მისი მცირერიცხოვანი თანამოაზრეების თავდადებით ეს საქმე საკმაოდ წარმატებით წარიმართა და ლექსიკონის ფუნდამენტურად განახლებული ახალი რედაქციის უკვე ოთხი ტომის გამოცემით ქართველმა საზოგადოებამ ნათლად დაინახა, თუ რაოდენ აქტუალურია თანამედროვე ქართული ენის უმდიდრესი საგანძურის მოვლა-პატრონობა. მხოლოდ სტატისტიკაც კი მეტყველებს ამას: მაშინდელ 8-ტომეულს 70-ოდე კალმოსნის ნაწერები ასაზრდოებდა, ახალ რედაქციაში საილუსტრაციო მწერალთა რიცხვი 700-ს აჭარბებს. საგულისხმო წინასიტყვით მიაწოდა ახალი რედაქციის პირველი ტომი საზოგადოებას მისმა მთავარმა რედაქტორმა: „ქართული ლექსიკოლოგია ვალში იყო დიდი ქართული მწერლობის წინაშე და ახლა ამ ვალს ისტუმრებსო". ეს სიტყვები მართლაც განსაკუთრებულ დაფასებას გამოხატავს ქართული მწერლობისას, იმდენად, რომ ავტორს ამის გამოსაკვეთად „ვალის" დამძიმებაც კი გადაუწყვეტია. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ არა მხოლოდ ფართომასშტაბიანი სამეცნიერო სამუშაო, არამედ დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე და ნიშანდობლივია, რომ ამ გამოცემის პირველივე ტომის პრეზენტაციას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაესწრო და მთავარ რედაქტორს ოქროს ჯვარი უბოძა. ა. არაბულისავე დამსახურებაა ის, რომ დღეს ფართო მომხმარებელს სრულად მიუწვდება ხელი განმარტებითი ლექსიკონის როგორც ძველ, ისე ახალ ვერსიაზე. ასევე მიუძღვის მას წვლილი არაერთი სხვა ლექსიკოლოგიური სამუშაოს დაგეგმვასა და წარმართვაში.**

ავთანდილ არაბული თავისი მოღვაწეობის განმავლობაში აქტიურად უხამებდა ერთმანეთს სამეცნიერო გამოცდილებასა და პედაგოგიურ პრაქტიკას. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი, პროფესორი, ბოლოს კი ამ კათედრის გამგე. ამ შემთხვევაშიც კათედრის წინამორბედმა გამგემ, პროფ. ელენე ბაბუნაშვილმა თავად მოისურვა მემკვიდრეობითობა ასე გაგრძელებულიყო. ა. არაბულის ხელმძღვანელობით კათედრამ დაიწყო საგნობრივი სასწავლო პროგრამების განახლება და კათედრის სრული ჩართულობით წამოიწყო ქართული ენის სრული აკადემიური კურსის პროექტი. ამავე დროს გამოქვეყნდა ა. არაბულის აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ქართული მეტყველების კულტურა" (2004).

**მაგრამ სწორედ ამ დროს დაემთხვა საბედისწერო, ზემოდან ორგანიზებული ვოლუნტარისტული ცვლილებები დედაუნივერსიტეტში, რასაც უნივერსიტეტის დიდი საბჭოს ღირსეული ნაწილი მკვეთრად დაუპირისპირდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ გამოჰყავდათ პოლიციელებს ხელკავით უნივერსიტეტის სადარბაზო შესასვლელში ა. არაბული და ამას „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" მაშინ ხშირად იმეორებდა, როგორც ჩანს, პროფესურის დასაშინებლად. შემდეგ, უთუოდ, მიხვდნენ, რომ საზოგადოების თვალში ამას საპირისპირო ეფექტი ჰქონდა და კადრიც გადამალეს. რაც მთავარია, ა. არაბული და სხვა „შეთქმულები" სასამართლოს გადასცეს, მაგრამ ეს „დადგმული" სასამართლოც ხელისუფლების პოლიტიკის სამხილად გადაიქცა...**

სწორედ ამ დროს მიუძღვნა მას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ჩინებულმა ჟურნალისტმა და მოქალაქემ, ცხონებულმა რობერტ ძერიამ სპეციალური ნარკვევი – „ჯიუტი ჯუთელი". ერთი სიტყვით, ა. არაბულს ყოველთვის ეკავა ღირსეული სამოქალაქო პოზიცია და ბოლომდე იბრძოდა როგორც უნივერსიტეტის იდეის, ისე ქართული სამეცნიერო სისტემისა და მისი მემკვიდრეობის დასაცავად. ამ მიმართულებით მას ასევე არ დაუკლია მცდელობა ახალი ხელისუფლების პირობებში და ფაქტობრივ ყველა წინაპირობა მოამზადა იმისათვის, რომ სამეცნიერო სისტემის რეაბილიტაცია დაწყებულიყო. მხოლოდ პოლიტიკური ნება აღმოჩნდა უკმარი სასურველ გადაწყვეტილებათათვის... რაც შეეხება ა. არაბულის პედაგოგიურ მოღვაწეობას, იგი სხვადასხვა დროს ასევე ასწავლიდა უცხო ენათა ინსტიტუტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც გრ. ფარულავასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი ფილოლოგიის კათედრას. თუმცა, იმ ხელისუფლების პირობებში არც ამ გეგმებს აღმოაჩნდა კეთილი გაგრძელება... 2009 წლიდან დღემდე იგი ძველ ქართულს ასწავლის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც განათლების საბჭოურმა სისტემამ რღვევა დაიწყო და ეროვნული სკოლის წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დაისახა, ავთანდილ არაბული ერთ-ერთი პიროვნება იყო იმ პროფესიონალთაგან, ვინც საკუთარ მოვალეობად მიიჩნია ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. სწორედ მას ეკუთვნის თანამედროვე ეროვნულ სკოლაში ქართული ენის სწავლების ახალი კონცეფცია და, ასევე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სკოლის უზრუნველყოფის საქმეში, მისი ავტორობითა და ვ. როდონაიასა და სხვებთან თანაავტორობით ქართული ენისა და ლიტერატურის ორ ათეულამდე სახელმძღვანელო ფუნქციონირებს თანამედროვე ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. მეორე მხრივ, მან განსაკუთრე-

ბული როლი შეასრულა იმაში, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ეროვნულ სკოლას დაჰბრუნებოდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით იმუშავა ექსპერტთა იმ ჯგუფმა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის განკარგულებით შეიქმნა და რომელმაც არსებითად პირველად მოამზადა ეროვნული სკოლისათვის მრავალგზის დამახინჯებული „დედაენის“ ავთენტიკური საავტორო ვერსია.

**მეცნიერთა და პედაგოგთა ფართო წრეებში ა. არაბულს იცნობენ როგორც ქართული სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირების საკითხების მაღალკვალიფიციურ ექსპერტს. სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირების პრობლემატიკის განხილვის თვალსაზრისით სანიმუშოა მისი წიგნი „ენა ჩვენი არსობისა“, რომელიც ეროვნული ენის თანამედროვე არსებობის არაერთ პრობლემურ ასპექტს შეეხება. ა. არაბულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო ენის საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფის, მისი საკონსტიტუციო სტატუსის დაცვის საქმეში, კერძოდ, მისი აქტიური მონაწილეობით იქნა მიღებული სახელმწიფო ენის კანონი 2015 წელს. ასევე მიუძღვის მას წვლილი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ნომინაციის – „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ – მომზადების საქმეში, რომელსაც იუნესკომ 2016 წელს საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.**

უთუოდ გამორჩეულია ა. არაბული როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის შესაძლებლობები. წლების განმავლობაში იგი, როგორც ითქვა, სათავეში ედგა ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და მის სხვადასხვა სტრუქტურას, იყო ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეკავა დირექტორის მოადგილისა და დირექტორის თანამდებობები, იყო არაერთი წარმატებული სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი; წარმატებით ხელმძღვანელობდა ცალკეულ ასპირანტებს, დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს...

სრულიად განსაკუთრებული აღმოჩნდა მეცნიერის ბიოგრაფიაში 2009 წელი, როდესაც იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხუთიოდე წელიწადში კი ა. არაბული აკადემიის წევრი გახდა. 2013-14 წლებში იგი ასრულებდა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას. აკადემიაში არჩევისთანავე აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის“ ხელმძღვანელმა აკად. თამაზ გამყრელიძემ იგი მიიწვია „ქართული ენის თესაურუსის (ისტორიული ლექსიკონის)“ პროექტში და არსებითად მიანდო ამ სამუშაოების საორგანიზაციო საქმე. დღეს ა. არაბული წარმატებით ხელმძღვანელობს ამ კომიტეტს და ჩვეული ენერგიით უძღვება როგორც რუსთაველის უკვდავი პოემის ტექსტის შესწავლის, ისე აღნიშნული მასშტაბური სალექსიკონო სამუშაოების რეალიზაციის საქმეს. იგი ამავე დროს ბრძანდება თავმჯდომარე მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიისა, რომლის მუშაობის შედეგიც არის „მთის კანონის“ შექმნა და მუდმივი თანამშრომლობა სახელისუფლებო სტრუქტურებთან ამ კანონის აღსრულებისათვის.

**ამ ერთგვარი აკადემიური დახასიათების დასასრულს ხაზი უნდა გაესვას მეცნიერის სამაგალითო პიროვნულ თვისებებს – კეთილშობილებას, თავმდაბლობას, ერთგულებას, მაღალზნეობრიობას, კაცთმოყვარეობასა და მაღალ ინტელექტს. მისთვის, როგორც პიროვნებისათვის, სრულიად უცხოა თავმოთნეობა და, მით უფრო, ამპარტავნება, მაგრამ ყოველთვის ავლენს ნების სიმტკიცეს, როგორც კი საკითხი პრინციპებსა და ფასეულობებს შეეხება...**

**გულითადად ვულოცავთ ბატონ ავთანდილს ამ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ოჯახურ ბედნიერებას, მომავალი შემოქმედებითი გეგმების წარმატებით აღსრულებას!**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ქართული ხელნაწერები ლიბანიდან



## თეა წულუკიანმა ხელნაწერები სახელმწიფო ორგანიზაციებს გადასცა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა სამინისტროს მიერ ლიბანში წარგზავნილი სამეცნიერო ექსპედიციის მიერ საქართველოში ჩამოტანილი ქართული ხელნაწერები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა.**

სამეცნიერო ექსპედიციის წევრები იყვნენ: საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი ნანა მირაშვილი და აღმოსავლეთმცოდნე თამარ დემეტრაშვილი.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ლიბანში, ქალაქ საიდასთან მდებარე მაცხოვრის მონასტრის ( ORDRE BASILIEN DU SAINT-SAUVEUR) ბიბლიოთეკაში კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის მუშაობის შედეგად, საქართველოს გადმოეცა ოთხი ქართული ხელნაწერის ციფრული ვერსია.

**„მე-18 საუკუნით დათარიღებული ეს ხელნაწერები ლიტურგიკული ხასიათისაა. ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა სასულიერო პირმა და მეცნიერმა შალვა ვარდიძემ შეისწავლა, დანარჩენი სამის არსებობა კი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის საერთოდ უცნობი იყო.**

**საქართველოში ჩამოტანით ისინი სამეცნიერო წრეებისთვის ხელმისაწვდომი ხდება და, ამგვარად, მეცნიერებაში დაინერგება ახალი საკვლევი მასალა. მონაპოვარი უაღრესად საყურადღებოა ეროვნული თვალსაზრისით – მას აქვს იმგვარი კულტურულ-რელიგიური ღირებულება, რომელიც ადასტურებს საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის უძველეს კულტურულ და სასულიერო კონტაქტებს.**

**ლიბანში ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის; გამოკვლევები მათ დაეხმარება სათანადოდ შეაფასონ და გააანალიზონ საქართველოს როლი ლიბანისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ლიბანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის მონაცემებით ისარგებლებენ, პირველ რიგში, უმაღლესი სასწავლებლები, ჰუმანიტარული მიმართულების სამეცნიერო დარგთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით – ისტორიკოსები, ასევე ფილოლოგები, ახალი და უახლესი ისტორიით დაინტერესებული მკვლევრები და კულტუროლოგები.**

**პროექტის შედეგები ღირებული და მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული კავშირების კვლევის თვალსაზრისით, არამედ ქართველოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებისათვის“,** – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

ხელნაწერთა გადაცემის ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი, საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალბედაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფონდების დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ აბულაძე, საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი სოფრომაძე, მეცნიერები ნანა მირაშვილი და თამარ დემეტრაშვილი.

# ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ მუზეუმთა ჯგუფს (შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეა, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) ახალი მუზეუმი შეემატა, რომელიც საფრანგეთში, საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ლევილის მამულის ბაზაზე ჩამოყალიბდა და მას ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი ეწოდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული მუზეუმი ავრცელებს.

მოცემული ცვლილების შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება 2023 წლის 8 მარტს გამოიცა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნების სანოტარო აქტის პირობების შესაბამისად, შატოს პირველ სართულზე დაგეგმილია ისტორიული სივრცის მოწყობა, რომლის ნაწილშიც განთავსდება ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი. შატოს მეორე სართულზე კი მოეწყობა ნოე ჟორდანიას კაბინეტი. გათვალისწინებულია ბიბლიოთეკა-მედიათეკის, საგამოფენო და სარეზიდენციო სივრცეების მოწყობაც.



ახალი მუზეუმისათვის შექმნილია კონცეფციის სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები არიან: **ტიერი ბერიშვილი** – ქართველ ხალხთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე, პირველი რესპუბლიკის კვლევის ცენტრის – ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი; **ლევან თაქთაქიშვილი** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე; **ირაკლი იაკობაშვილი** – საქართველოს პარლამენტის არქივის ხელმძღვანელი; **ოთარ ჯანელიძე** – სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიისა და ისტორიის კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **ვახტანგ ცინცაძე** – სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კოლექციების მართვის დეპარტამენტის თბილისის სექტორის ხელმძღვანელი; **დიმიტრი სილაქაძე** – სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების სპეციალისტი; **სტივენ ჯონსი** – პროფესორი, ისტორიკოსი, საქართველოს თანამედროვე ისტორიის, ქართული სოციალ-დემოკრატიისა და პირველი რესპუბლიკის სპეციალისტი; **კრისტინ ფაღავა-ბულე** – ნოე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, ნოე ჟორდანიას შვილიშვილი;

2021 წლიდან დღემდე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ლევილის მამულში განახორციელა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ: დასრულდა ლევილის მამულის (4 ჰა) გალავნის ისტორიული ნაწილის რესტავრაცია-კონსერვაცია და ლევილის მამულის გუშაგის სახლის (რომელშიც დიდხანს ცხოვრობდა ემიგრანტი ქალბატონი **ნამეტია გოგუაძე)** სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაიწყო და გრძელდება ლევილის მამულის პარკის აღდგენა და კეთილმოწყობა, შეკეთდა სხვენის სახურავი, ჩატარდა ინვენტარიზაცია.

ამჟამად მიმდინარეობს ლევილის მამულის შატოს კონსტრუქციების სიმყარის კვლევა, მზადდება გამაგრების პროექტი და შატოს აზბესტისგან გაწმენდის, მისი სხვენისა და სახურავის სრული რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები.

ლევილის მამულში განთავსდება ქართული ოდასახლი, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორ-რესტავრატორი **ტარიელ კიპაროიძე**. ოდასახლში მოეწყობა დარბაზული სივრცე კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, გაიხსნება ქართული ტრადიციული სუვენირების მაღაზია. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ შამუგიას თანამშრომლობით მოძიებულია ოდისთვის საჭირო ხის მასალა, რომლის შრობის დასრულებისთანავე დაიწყება მისი დამუშავება. 2023 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ლევილის მამულში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიების გამართვა. ლევილის მამულის სრული რეაბილიტაცია, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, 2026 წლის სექტემბერში უნდა დასრულდეს.

# მთელი ერი ხელფეხშეკრული რომც ვიყოთ, მიზნისკენ სავალ გზას მაინც არ უნდა ავცდეთ!




(მეხუთე გვერდიდან)

**– რამდენადაც ვხვდები, ძველი კოლხური სამხედრო ხელფეხშეკრული სტილის კარგად ათვისება და მისი საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, თქვენს სამოქალაქო პოზიციას ერთგვარად ეხმიანებოდა კიდეც. ასე არ არის?**

– ნამდვილად ასეა. მართალია, მე-20 საუკუნის მიწურულს, თავისუფლებას მივაღწიეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მას რაღაც არნახული კოშმარი სდევდა – ის, რაზეც ასე ვოცნებობდით, ვერ მივიღეთ. ჯერ იყო და სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ საყოველთაოდ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ. იმ დროს მეც მის მოწინააღმდეგეთა რიგებში ვიყავი, რასაც ახლა გულწრფელად ვნანობ – ძლივს ვეღირსეთ თავისუფალ, კანონიერ ხელისუფლებას და მერე ჩვენვე დავამხეთ! ვის ეცალა ქვეყნისთვის – თითქმის ყველანი საკუთარი უზომოდ გაბერილი ამბიციების დასაკმაყოფილებლად იღვწოდნენ, მათგან რაღაც ნაწილი ახალი შარაგზის ავაზაკებივით თუ მომხდურივით, „ჩვეულებრივად“ ძარცვავდნენ ქვეყანას, ზოგიერთებიც ერთმანეთთან ბრძოლაში იყვნენ ჩაფლულნი ძალაუფლების მოსაპოვებლად, რომელიც ისევ სამშობლოს გასაძარცვად სჭირდებათ...

ჰოდა, სწორედ მაშინ იყო, რომ ლევან ბაბუის ნასწავლი ხელფეხშეკრული ცურვა გამახსენდა და გადავწყვიტე ამ სტილის აღორძინება, რათა ჩვენი ხალხისთვის დამენახვებინა, რომ რაც არ უნდა შეგვბოჭონ, რაც არ უნდა ცუდ დღეში აღმოვჩნდეთ, მაინც უნდა ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისთვის, არ უნდა მივეცეთ სასოებას, უნდა გავცუროთ და უნდა მივაღწიოთ სანუკვარ მიზანს. აი, ეს იყო ჩემი უმთავრესი მამოძრავებელი მოტივაცია.

**– თქვენი გატაცებისთვის, ასე ვთქვათ, წმინდა წყლის სპორტული მიმართულების მიცემის ამბავი როგორია?**

– 90-იანი წლების შუა ხანებში ვარჯიში დავიწყე და 2001 წელს ლაგუნა-ვერეს აუზში პირველი საცდელი გაცურვა მოვაწყვე, რასაც უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა – თუკი სადმე ავტორიტეტული ტელეკომპანია იყო – CNN-ით დაწყებული და უფრო ნაკლებად სახელგანთქმულებით დამთავრებული – ყველა გამოეხმაურა ამ ამბავს, თანაც არა ერთჯერადად,. საქმე იქამდე მივიდა, რომ CNN-მა „ადამიანი-დელფინიც“ კი შემარქვა! თუმცა, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ყველაზე ნაკლებად ეს ამბავი... საქართველოში გახმაურდა, რისი მიზეზი ისევ ჩვენი იმდროინდელი უკიდურესად ცუდი ყოფითი პირობები, კერძოდ, ელექტროდენის კატასტროფული უქონლობა იყო.

მერე იყო და დარდანელის სრუტე გადავცურე, რასაც უკვე გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა მოჰყვა, თუმცა კი გულწრფელად გეტყვით, რომ ეს მომენტი ჩემში არ იწვევს მაინცდამაინც დიდ აღფრთოვანებას იმ მარტივი მიზეზით, რომ მასში ძალიან ბევრ ჭეშმარიტად შესანიშნავ მიღწევასა და ფაქტთან ერთად, ძალიან ბევრი ისეთი მომენტია, რომელთა გახსენებაც კი, სხვა თუ არაფერი, არაეთიკურად მიმაჩნია.

ამდენად, დარდანელის სრუტის გადაცურვა, რომლის ორგანიზატორი ბატონი გვანჯი მანია გახლდათ, უფრო მსოფლიოსთვის ჩვენი სამამულო კულტურული მემკვიდრეობის ერთი ნაწილის, ამ უნიკალური სტილის მეტად გაცნობის სურვილი იყო, რის მამოძრავებელ მიზეზებზეც, წეღან გიამბეთ, თუმცა შემიძლია კიდევ ერთხელ გავიმეორო: მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, აგერ უკვე 33 წელზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თითოეული ჩვენგანი მაინც ხელფეხშეკრული ვართ და მდგომარეობისთვის თავი ვერა და ვერ დაგვიღწევია.

წარმოიდგინეთ: თავისუფლების მოპოვებიდან ცოტა ხანში მე სახელმწიფოს მეთაურის აპარატში ეროვნული უშიშროების მთავარი სახელმწიფო მრჩეველი და ამავდროულად საბჭოს ანალიტიკური სამსახურის უფროსი ვიყავი, ერთი სიტყვით მაღალი თანამდებობა მეკავა, მაგრამ მაინც თავს ხელფეხშეკრულად ვგრძნობდი. ჩემი სიტყვების დასტურად, ერთ მაგალითს მოვიყვან: როგორც კი ამ პოსტზე დავინიშნე, უშიშროების საბჭოსთვის პროექტი – ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა „დიდგორი“ მოვამზადე, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოს პირველ პირს, ქვეყანაში, რეალურად არსებული ვითარების შესახებ უტყუარი ცნობები არა უახლოესი თანამშრომლებისგან, არამედ უშუალოდ სრულიად მიუკერძოებელი ანალიტიკური სამსახურიდან მიეღო, რომელსაც ყოველდღიურად სახელმწიფო უწყებებიდან მიიღებდა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ, **ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რიგ სხვა მიზეზთან ერთან, სწორედ მისმა უახლოესმა გარემოცვამ, ინფორმაციის სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე, მიწოდებამ დაღუპა. თანაც ედუარდ შევარდნაძის გარემოსაც ვხედავდი, რომლის პერსონათა უმეტესი ნაწილი, მარტო საკუთარი კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, თუმცა კი სახელმწიფოებრიობა მაშინ დღევანდელ ჩინოვნიკებზე გაცილებით მეტი ჰქონდათ.**



**ამიტომ ასეთი გზით მინდოდა მისთვის არსებული მდგომარეობის შესახებ ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად ოპტიმალური პირობები შემექმნა. მან ეს იდეა იმთავითვე დიდად მოიწონა და მისი განხორციელება დამავალა. ეს იყო უზარმაზარი სამუშაო, რომლის შედეგენაზე აუარება პროფილური სპეციალისტი მუშაობდა და ინფორმაცია ყოველდღიურად უშუალოდ სახელმწიფოს პირველ პირს მიეწოდებოდა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ სამინისტროები, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა, რომლის სათავეში იმხანად კ. თარგამაძე იდგა, ამის სასტიკი წინააღმდეგნი წავიდნენ, ვინაიდან მთელი სტრუქტურის საქმიანობა უაღრესად გამჭვირვალე ხდებოდა, რაც კორუმპირებულ მაღალჩინოსნებს არაფერში აწყობდათ... საქმე იქამდე მივიდა, რომ, საბოლოო ანგარიშით, ანალიტიკოსების მიერ ჩადებული მონაცემები შევარდნაძემდე ვერ აღწევდა!.. ამდენად, იმ ვითარებაში ვერაფერს გავხდი!**



**ჰოდა, ხელფეხშეკრულობის გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა, დღემდე არ მტოვებს, მაგრამ, მაინც მიმაჩნია, რომ მთელი ერი, თითოეული ჩვენგანი შებოჭილობის მიუხედავად, დასახული მიზნისკენ მიმავალ გზას მაინც არ უნდა ავცდეთ!**

ესაუბრა
ოთარ ტურაზელიძე

---

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი). პროექტით გასახორციელებელი სამუშაოების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ქეთევან კოზმანაშვილის (პ/ნ 36001014198) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 303 კვ.მ. ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.27.463) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 24 მარტის 1-1/121 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის ქეთევან კოზმანაშვილის (პ/ნ 36001014198) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 303 კვ.მ. ფართობის, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.27.463) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **AST-WEST HIGHWAY CORRIDOR IMPROVEMENT PROJECT (EWHCIP)**

განმახორციელებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: **173782**

კონტრაქტის ¤ **EWHCIP/CS/ICS-06** გამარჯვებული კონსულტანტი: ანა კიკვაძე კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **2023** წლის 3 აპრილი შერჩევის მეთოდი: ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა კონტრაქტის ღირებულება: **GEL 70,408.16** კონტრაქტის ხანგრძლივობა: **12 (**თორმეტი**)** თვე კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: შესყიდვების კონსულტანტი.

# CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**

Project Implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project number: **P149952**

Contract Reference No: **EWHCIP/CS/ICS-06**
Awarded Consultant: **Anna Kikvadze**
Contract Signature Date: **April 3, 2023**
Method of Selection: **Selection of Individual Consultants (ICS)**
Contract Price: **GEL 70,408.16**

Duration of Contract: **12 (twelve) months**
Scope of Contract: **Procurement Consultant**

# შეტყობინება ტენდერის No. SRAMP/CW /NCB-20 შესახებ

**პროექტის დასახელება:** შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP) - P149953

**ქვეყანა:** საქართველო

**პროექტის განმახორციელებელი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ტენდერის N:** SRAMP/CW/NCB-20; DEP220000057

**კონტრაქტის დასახელება:** საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ7+200 სარეაბილიტაციო სამუშაოები

**კონტრაქტის ხანგრძლივობა:** 7 თვე

შეფასებული მონაწილეები:
დასახელება: **PALADA LLC**
ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი: 14,145,330.75 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
შეფასებული ფასი: 13,471,743.57 ლარი

დასახელება: **New Road LLC**
ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი: 12,459,720.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
შეფასებული ფასი: 11,866,400.00ლარი

დისკვალიფიცირებული მონაწილე:
დასახელება: **Geoinvesti LLC**
ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი: 13,857,802.00ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის 11.1 მუხლთან შეუსაბამობა

**გადაწყვეტილება:** ტენდერი ჩაიშალა სატენდერო დოკუმენტაციის 38.1 მუხლისა და მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს 2.61 პარაგრაფის შესაბამისად.

# NOTIFICATION OF AWARD FOR BID NO. SRAMP /CW/NCB-20

**Project Name**: Secondary Road Asset Management Project (SRAMP) - P149953

**Country**: Georgia

**The project implementing Agency**: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

**Bid/Contract Reference No:** SRAMP/CW/NCB-20; DEP220000057

**Scope of Contract**: Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km0+000 to km7+200

**Duration of Contract**: 7 months

**Evaluation Currency**: Georgian Lari

Evaluated Bidder(s):

Name: **PALADA LLC**
Electronically Submitted Bid Price: GEL 14,145,330.75 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 13,471,743.57

Name: **New Road LLC**
Electronically Submitted Bid Price: GEL 12,459,720.00 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 11,866,400.00

Rejected Bidder:
Name: **Geoinvesti LLC**
Electronically Submitted Bid Price: GEL 13,857,802.00
Reason for rejection: Non-responsive

Awarded Bidder – N/A

**Decision:** Rejection of all bids in compliance with sub-clause 38.1 of the Bidding documents and Paragraph 2.61 of World Bank Procurement Guidelines.

# მოწვევა ინტერესის გამოსახატად

## (განცხადებების წარმოდგენის ვადის გაგრძელება)

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი
**სესხის № 3715-GEO**
**დავალების სახელწოდება: საგზაო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვალისწინებით)**
**საიდენტიფიკაციო #** KUPR/CS/CQS-01

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ- დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის** განხორციელებისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს/ორგანიზაციებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **საგზაო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვალისწინებით).**

**დავალების მიზანი:** კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება რომ დაგეგმოს და განახორციელოს საბაზისო კვლევა/ები, საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები და განსაზღვროს მასთან დაკავშირებული ინფორმატიული მასალების, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, იმ თემისთვის რომელიც მოქცეულია აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი - უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების და აღმოსავლეთ- დასავლეთის ავტომაგისტრალის (შორაპანი - არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:** საკონსულტაციო კომპანიას/ორგანიზაციას უნდა ქონდეს შემდგომი კვალიფიკაცია:

- სასურველია 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების კამპანიების ჩატარებაში ცალკეული თემების დონეზე;
- მინიმუმ 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება სოციალურ - ეკონომიკური კვლევების ველზე ჩატარებაში, სასურველია ტრანსპორტის სექტორში;
- მასალებისა და ანგარიშების გამოქვეყნების დადასტურებული გამოცდილება შესაბამისი პერსონალის, მატერიალური ბაზის და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა კვლევების, ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განსახორციელებლად;
- სპეციალიზირებული გამოცდილება კვლევის მონაცემთა ანალიზში, იმ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ამ კვლევაში იქნება გამოყენებული, კერძოდ: გამოკითხვები, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, და
- განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადების გამოცდილება.

დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის გამოყენებით:
**https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414**

დაინტერესებულ კომპანიებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ მოცემული ბმულის მეშვეობით **2023 წლის 10 აპრილამდე.**

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

## (Extension of application submission deadline)

Georgia
East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project Project Loan. **3715-GEO**
**Name of the Assignment:** National Road Safety Consultant (Gender Sensitive Roads Safety Awareness Program)
**Contract/RFP No:** KUPR/CS/CQS-01

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies/organizations (here and after "Consultants") to express their interest in providing the following services: **National Road Safety Consultant (Gender Sensitive Roads Safety Awareness Program).**

**The objective of the assignment:** The Consultant will be responsible for the development and conduct of the baseline study/ies, awareness raising programs, information materials, assessment, and monitoring tools related to the community road safety awareness raising program/s for the communities under the ADB financed East- West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project and East-West Highway (Shorapani-Argveta Road) Improvement Project.

**Qualification Requirements:** Consulting Organization/Firm having the below listed qualification are encouraged to participate:

- preferably with 5 years of relevant experience in conducting road safety awareness raising and capacity building campaigns on community level;
- minimum of 5 years of relevant practical field experience in conducting socio- economic surveys, preferably in transport sector;
- demonstrated capacity in publishing materials and reports;
- availability of relevant personnel, facilities and tools to carry out the research, capacity building, trainings and awareness raising campaigns;
- highly specialized expertise in application and data analysis of the qualitative and quantitative methods that will be included in this research, namely: surveys, in-depth interviews and focus group discussions; and
- experience of developing detailed reports on implemented activities. Duration of the assignment is 12 months.

Selection will be done according to the recruitment of consultant qualification method provided in Procurement Regulations for ADB Borrowers (available at https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf )

Expressions of Interest (EOIs) will be submitted in the English language by means of the ADB web-page: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414**

Interested companies shall follow the link to participate in the selection not later than **April 10, 2023.**

ქართულ-იტალიურ ტალღაზე

# მისაბაძის, დამაფიქრებელის



**იტალიის ჩემპიონატის ფინიშამდე ათი ტურით ადრე აპენინებს ქართული დელეგაცია ეწვია და ვიდრე ნაპოლის მორიგ შეხვედრას დაესწრებოდა, უმნიშვნელოვანესი მისია შეასრულა. სანამ ხვიჩა კვარაცხელიასთვის მარტის თვის სერია – ა-ს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზის გადაცემასა და მისი კლუბის უმძიმეს მარცხზე ვისაუბრებდეთ, სამაღარიჩო ფაქტზე შევჩერდეთ, რომელიც, დარწმუნებულნი ვართ, დიდ იმპულსს მისცემს რეგიონებში ნორჩი თაობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაოსტატების შეუქცევად პროცესს.**

საუბარია, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ტურინის იუვენტუსსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას (გია **ხარჩილავა, თამარ ზელქანია**) შორის დაწყებულ თანამშრომლობაზე, რომლის სულისჩამდგმელი **მამუკა ხაზარაძეა.**

დიახ, თუნდაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი სტრატეგიული პორტის მშენებლობის ჩაფლავებული პროექტისგან განსხვავებით, თიბისი ბანკის დამფუძნებელმა ერთი წლის წინათ დადებული პირობა შეასრულა, მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა და მხარეები ერთმანეთთან დააკავშირა.

მომავლის პერსპექტიული ხედვით გათვალისწინებულია 6-დან 14 წლამდე ასაკის ნიჭიერ ქართველ მოზარდთა შერჩევა, რომლის პირველი ეტაპიც უკვე განხორციელდა, და მათი სტაჟირებაზე მიწვევა ბებერი ქალბატონის ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურით გამორჩეულ აკადემიაში. ტიტულოვანი გრანდის ემისრებმა არჩევანი წალენჯიხასა და ჯვარში სპორტის საყვარელ სახეობაში მოვარჯიშე 500-მდე ყმაწვილს შორის გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ ადვილი შესაძლებელია ის, რაც პოლიტიკოსთათვის სამი ათეული წლის განმავლობაში ჯერაც აუხდენელი ოცნებაა, ბურთმა შეასრულოს, რადგან, მოგეხსენებათ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიამდე იქიდან სულ რამდენიმე კილომეტრია და ვიმედოვნებთ იუვეს მაგია დედასამშობლოში დასაღვინებლად გამყოფ ზოლს მიღმა დარჩენილ ჩვენს მრავალ თანამემამულეს მოიზიდავს.

რაც შეეხება მარადონას სტადიონზე დატრიალებულ დრამას, მას ბიძგი პარტენოპეის შეფების მიერ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩისთვის მიღებულმა ბილეთების გაძვირების გადაწყვეტილებამ მისცა, მილანთან გენერალურ რეპეტიციაზე კი მასპინძელთა ულტრასმა ტიფოზებმა პროტესტის ნიშნად ტრიბუნებზე უჩვეულო სიჩუმე და საპანაშვიდე განწყობილება შექმნეს.

ოქროსთან მოლიცლიცე ლუჩანო სპალეტის გუნდს არანაკლები პრობლემები შეუქმნა ტრავმირებული ოსიმენის არყოფნამ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მაშინ, როცა სეზონის სტარტზე ნიგერიელი ბომბარდირი ამავე მიზეზით ასევე აკლდა პარტნიორებს, კამპანიელებმა შვიდივე ბრძოლა მოიგეს.

მოკლედ, სტუმრებმა ყველა კომპონენტში დააჩოქეს ფავორიტი – 4:0 და მის ბუნაგში უკვე ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს, ხოლო 21-ე საუკუნეში მსგავსი სხვაობით ნაპოლი შინ მეორედ შერცხვა 2001 წლის შემდეგ, როცა ბოლონიასთან განადგურდა – 1:5.

ჩვენ, ბუნებრივია, განსაკუთრებით კვარადონას თამაში გვაინტერესებდა და, მართალია, ამჯერად მან საკუთარ მონაგარს ვერაფერი შემატა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქტიურობდა და ექსპერტთაგან თანაკლუბელთა შორის საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

რა თქმა უნდა, ეს დიდი ვერაფერი შვებაა, მაგრამ ლომბარდიელებთან დამდეგი საევროპო ჯახის პრიზმაში ნამდვილად დადებითი ნიუანსია, თუმცა არც მრისხანე მეტოქის საფუძვლიანი ამბიციებია გამოსარიცხავი. მართლაც, დუბლის ავტორმა ლეაუმ და კამპანიამ ყველას დაუმტკიცეს, რომ ომისთვის მზად არიან.

**დანარჩენი შედეგები:** მონცა – ლაციო 0:2, იუვენტუსი – ვერონა 1:0, ინტერი – ფიორენტინა 0:1, რომა – სამპდორია 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ნაპოლი – 71, ლაციო – 55, მილანი – 51, ინტერი, რომა – 50-50, ატალანტა – 48, იუვენტუსი – 44 ქულა. ამ უკანასკნელს, როგორც ვრცელდება ხმები, შესაძლებელია 15 ქულა დაუბრუნონ, მაგრამ ნაპოლის მიერ სკუდეტოს მოპოვებას მაინც ძნელი სავარაუდოა, რომ რაიმე დაემუქროს, მით უმეტეს 29-ე ტურის აფიშის გამო – ერთმანეთს ლაციო და იუვე ხვდებიან, ლიდერი კი ლეჩეს ეწვევა.

**გია პლატონიშვილი**




„ნაპოლისა“ და „მილანის“ მატჩის დაწყების წინ მოედანზე CBS SPORT GOLAZO-ს ჟურნალისტებთან ზაზა ფაჩულია გამოჩნდა, რომელმაც ქართველი შემტევის, ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა:

**„სან-ფრანცისკოდან ჩამოვფრინდი აქ, რათა კვარასთვის მხარი დამეჭირა, ქართველი სუპერვარსკვლავისთვის, რომელიც მთელს ქვეყანას ასახელებს. ასეთი ფეხბურთელის ყოლა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ძალიან ამაყი ვარ.**

**მარადონას სტადიონზე ძალიან ბევრი ქართული დროშა ფრიალებს და ვხუმრობდი კიდეც, რომ ნახევარი ქვეყანა აქ არის. როდესაც მე კალათბურთს ვთამაშობდი, ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილეობის მისაღებ გამოკითხვაში 1.5 მილიონი ხმა მივიღე, ასე რომ ეს ყველაფერი არ მიკვირს. ქართველებს უყვართ ფეხბურთი და ასეთი ფეხბურთელის ყოლის დროს, რა თქმა უნდა, მთელი ქვეყანა მის გვერდითაა“** – განაცხადა ფაჩულიამ. რა თქმა უნდა რეპორტიორებმა ზაზას სიმაღლესთან დაკავშირებითაც იხუმრეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ჯანფრანკო ძოლას გვერდით დააყენეს. ამ ფაქტზე თავად ზაზამაც თქვა, რომ იტალიელი ფეხბურთელი მისი გამთამაშებელი იქნებოდა.

მატჩის შემდგომ NBA-ის ორგზის ჩემპიონმა კვარაცხელიასთან ერთად ფოტოც გადაიღო: **„ამ ახალგაზრდა ადამიანს ნათელი მომავალი აქვს. განაგრძეთ მისი ბრწყინვალება, სანამ ამ მოგზაურობით სიამოვნებას იღებთ. შენით ვამაყობ, ძმაო“** – დაწერა ქართველმა ცენტრმა საკუთარი სოციალური მედიის გვერდზე.

ტატამზე

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ცნობილია.**

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლაშა გუჯეჯიანმა** წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირისთვის ვაჟთა ნაკრების 9-კაციანი ვარსკვლავთკრებული დაასახელა, სადაც გაორებულია 90 და 100 კგ წონითი კატეგორიები.

**60 კგ** – გიორგი სარდალაშვილი, **66 კგ** – ვაჟა მარგველაშვილი, **73 კგ** – ლაშა შავდათუაშვილი, **81 კგ** – ტატო გრიგალაშვილი, **90 კგ** – ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე, **100 კგ** – ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, **+100 კგ** – გურამ თუშიშვილი

შეგახსენებთ, რომ ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატი 7-14 მაისს დოჰაში გაიმართება.




ოვალური ბურთი

## მიხეილ ნარიაშვილი: იმედი მაქვს, რომ მალე შევძლებ გუნდთან ერთად თამაშს

**გორჯღალოსანი მარცხენა ბურჯი მიხეილ ნარიაშვილი ერთწლიანი პაუზის შემდეგ მოედანს უბრუნდება და „შავი ლომის“ შემადგენლობაში სამხრეთამერიკულ ტურნეზე გაემგზავრება.**

32 წლის მორაგბე 2010-2022 წლებში ტოპ 14-ის „მონპელიეში“ თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, თუმცა ტრავმებმა მისი კარიერა შეაფერხა. სექტემბერში მან კოჭსა და მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, ახლა კი პირველ პროფესიულ ქართულ ფრენჩაიზს შეუერთდა.

**„საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს ვუბრუნდები. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც „შავ ლომში“ თამაშის შესაძლებლობა მომცეს. სარეაბილიტაციო პერიოდმა ძალიან კარგად ჩაიარა.**

**საკუთარი კონდიციებით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, რომ რეაბილიტაციის ბოლო ეტაპიც წარმატებით ჩაივლის და მალე შევძლებ გუნდთან ერთად თამაშს“** – ამბობს ნარიაშვილი, რომლის ანგარიშზე 71 სანაკრებო კეპი და ორი ლელოა.

ყინულზე

## ლატვიიდან – ესპანეთისკენ

**საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის II დივიზიონის A ჯგუფისთვის იწყებს მზადებას.**

ჩვენი ეროვნული გუნდი 2 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით ლატვიის ქალაქ ტუკუმსში შეიკრიბა, სადაც ადგილობრივ კლუბებთან სავარაუდოდ, 2 ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. მომავალი ფორუმის მატჩები 16 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართება.

ჯვაროსნები ტურნირს 16 აპრილს ისლანდიასთან თამაშით დაიწყებენ, ამის შემდეგ ისრაელს, ესპანეთს და ხორვატეთს შეხვდებიან, ფინიშზე კი 22 აპრილს ავსტრალიას გამოცდიან.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ქართველმა ჰოკეისტებმა B ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და ისლანდიასთან ერთად A ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

აუზზე

## სამერის დუბლი

**კანადელმა თინეიჯერმა სამერ მაკინტოშმა მსოფლიოს კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. მან ამჯერად ეს 400 მეტრზე ინდივიდუალურ შერეული სტილით ცურვაში შეძლო.**

მაკინტოშმა პირველი რეკორდი რამდენიმე დღით ადრე 400 მეტრზე თავისუფალ სტილში დაამყარა.

კანადელმა დისტანცია ოთხ წუთსა და 25.87 წამში გაცურა და 0.49 წამით გააუმჯობესა უნგრელი კატინკა ჰოშუს მიერ რიოს ოლიმპიადაზე დამყარებული რეკორდი.

**„ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გაცურვისას მაყურებლის შეძახილები მესმოდა. საოცარია, როდესაც იცი, რომ ტრიბუნაზე მთელი შენი ოჯახი და მეგობრები არიან და გამხნევებენ. ეს ბოლო 100 მეტრზე ძალიან დამეხმარა“,** – განაცხადა 16 წლის მაკინტოშმა.

ილონ მასკი და ტექნოლოგიური კომპანიები ღია წერილს აქვეყნებენ



# შეჩერდეს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობა!!!

**ათასზე მეტი მეცნიერი და ტექნოლოგი, მათ შორის ილონ მასკი, სტივ ვოზნიაკი და Stability AI-ის აღმასრულებელი დირექტორი ემოდ მასტაკიც კი, ხელოვნური ინტელექტის განვითარების შეჩერებას ითხოვენ და კაცობრიობის მოსალოდნელ საფრთხეზე აფრთხილებენ. ამის შესახებ მათ მიერ გავრცელებული ღია წერილიდან გახდა ცნობილი.**

წერილის ავტორები მოუწოდებენ ხელოვნური ინტელექტის ყველა ლაბორატორიას, რომ მინიმუმ 6 თვით დაუყოვნებლივ შეაჩერონ GPT-4-ზე უფრო მძლავრ AI სისტემებზე მუშაობა.

**„ეს არ ნიშნავს ზოგადად ხელოვნური ინტელექტის განვითარების შეჩერებას, არამედ უბრალოდ უკან დახევას საშიში რბოლიდან პანდორას ყუთამდე, რომელიც არაპროგნოზირებად შედეგებს გამოავლენს “,** – ნათქვამია ღია წერილში.

არც ისე დიდი ხნის წინ, მასკმა დაიქირავა გუნდი ChatGPT კონკურენტის შესაქმნელად, მანამდე კი OpenAI-ის თანადამფუძნებელიც კი იყო, მაგრამ სტარტაპი 2018 წელს დატოვა და მას „საშინლად კარგი“ უწოდა.

რამ უბიძგა მსოფლიოს წამყვან ინჟინერს, შეშფოთებულიყო ზედმეტად განვითარებულ ხელოვნურ ინტელექტით (AI) და ხელი მოეწერა ღია წერილზე?

**„ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ „ხელოვნური ინტელექტის ზაფხულით“, გამოვიყენოთ, მაგრამ მაინც მივცეთ მომხმარებელს ადაპტაციის შესაძლებლობა. სხვა პოტენციურად სახიფათო ტექნოლოგიები საზოგადოებამ შეაჩერა. იგივე გვჭირდება ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში – ისიამოვნეთ ხელოვნური ინტელექტის გრძელი „ზაფხულით“ და არ შევხვდეთ მოუმზადებელი მის „შემოდგომას“,** – ნათქვამია ღია წერილში.

წერილში, მოყვანილიf Future of Life-ის კვლევა, სადაც კაცობრიობისთვის სერიოზულ საფრთხეზეა საუბარი. იგი დეტალურად აღწერს საზოგადოებისა და ცივილიზაციის პოტენციურ რისკებს კონკურენტუნარიანი ხელოვნური ინტელექტის სისტემებისგან ეკონომიკური და პოლიტიკური რყევების სახით. ის ასევე მოუწოდებს დეველოპერებს იმუშაონ ხელოვნური ინტელექტის მართვისა და რეგულირებისთვის. თუმცა, ახლა, სამწუხაროდ, ამას ვერაფერი დაარეგულირებს, ნათქვამია წერილში. დღეს, ლაბორატორიები დაკავებული არიან სულ უფრო მძლავრი ციფრული სისტემების განვითარებით, რომელსაც ვერავინ, მათი შემქმნელებიც კი ვერ აკონტროლებენ.

OpenAI-ის აღმასრულებელი დირექტორი სემ ალტმანი აღიარებს, რომ მას ცოტა ეშინია, რომ ხელოვნური ინტელექტი უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოებაზე:

**„მძლავრი ხელოვნური ინტელექტის სისტემები უნდა განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ მათი ეფექტი დადებითი იქნება და რისკები მართვადი“.**

შეგახსენებთ, რომ Goldman Sachs-ის კვლევის თანახმად, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შეცვალოს 300 მილიონი სამუშაო ადგილი აშშ-სა და ევროკავშირში.

მოსალოდნელია, რომ ყველაზე მეტად ადმინისტრაციული და იურიდიული სექტორი დაზარალდება, AI შეცვლის ადმინისტრაციული სამუშაოების 46%-ს და იურიდიული სამუშაოების 44%-ს. ისეთი სფეროები, როგორიცაა მშენებლობა და მოვლა, ჩანაცვლებას მხოლოდ 4-6%-ით ექვემდებარება და დღეისათვის სამუშაო ძალის მხოლოდ 5% შეიძლება მთლიანად ჩანაცვლდეს AI-ით.

## მილიონობით ადამიანის კონკურენტი...

ხელოვნურ ინტელექტს 300 მილიონი სამუშაო ადგილის ათვისების პოტენციალი აქვს. საინვესტიციო ბანკის, **Goldman Sachs**-ის მიერ გამოცემულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, აშშ-სა და ევროპაში ასობით მილიონი სრულგანაკვეთიანი სამუშაო დავალებების შესრულება.

კერძოდ, ხელოვნური ინტელექტით შესაძლებელია ადმინისტრაციულ და იურიდიულ პროფესიებში არსებული სამუშაო ძალის 40%-ზე მეტის ჩანაცვლება. განსაკუთრებით დიდ კონკურენციას შეუქმნის ავტომატიზებული სისტემები ისეთ პროფესიებს, როგორიც ჟურნალისტიკაა.

ვაიმე, ენავ!

# გაუხსნელი ენობრივი პარაშუტები

**1. ამ ბოლო დროს ჩვენი მეტყველება წალეკა უქართულო ქართულმა.**

განსაკუთრებით გახშირდა სამი ენობრივი ფორმის უმართებულო ხმარება. სატელევიზიო გადაცემებში ჩვეულებრივია და ზოგჯერ ბეჭდვით მედიასაც წასცდება ხოლმე ასეთი გამოთქმა – **დაგისხავ**. გამომსვლელნი არ უკვირდებიან იმას, რომ ფორმის საწყისია **დასხმა**. რაკიღა ის **მა** ბგერათკომპლექსზე მთავრდება, მაშინ თემის ნიშნად მოგვევლინება მისი შებრუნებული სახე – **ამ**. მაშ, სწორი და დაშვებულია **დაგისხ – ამ**. ამ რიგისაა სიტყვები: **რტყმა→ვარტყამ** (და არა **ვარტყავ**); **ბმა→ვაბამ** (და არა **ვაბავ**); **სმა→ვსვამ** (და არა **ვსვავ**) და ა.შ.

2. არასწორად ხმარობენ სიტყვა **ისტორიას**. ამას წინათ ერთ გადაცემაში წამყვანმა ინგა გრიგოლიამ ათჯერ მოიმარჯვა ,,ისტორია“ და ათივეჯერ – მცდარად. ქალბატონს არა სცოდნია, რომ ისტორია აქვს სახელმწიფოს და არა პიროვნებას. მაგალითად, სწორია **საქართველოს ისტორია, რომის ისტორია, ავადმყოფობის ისტორია,** ოღონდ არ შეიძლება ვთქვათ ისე, როგორც ამას აკეთებდა დიქტორი: ერთ ისტორიას მოგიყვები; შენი ისტორია მითხარი; ძაან საინტერესოა მისი სიყვარულის ისტორია და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში საჭირო იყო უბრალო ქართული სიტყვა **ამბავი**. მაშასადამე, უნდა ეთქვა: **შენი ამბავი** მითხარი; საინტერესოა მისი **სიყვარულის ამბავი**; **ერთ ამბავს** გეტყვი და ა.შ.

3. განსაკუთრებით მაღელვებს ის, რომ ამ ბოლო დროს გახშირდა ნათესაობითის ნაცვლად მიცემითი ბრუნვის ხმარება. ეგ ახალი ჭირია და იგი კოვიდივით მოედო მეტყველებას, განსაკუთრებით – ტელემეტყველებას. ტელეეკრანიდან ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზებს: ,,მენაბდეს წიგნი წავიკითხე“; ,,მებუკეს მანქანა მომეწონა“; ,,მამალაძეს გამოსვლა მოვისმინე“...

**ძე** ბგერათკომპლექსით დამთავრებული გვარი იკვეცება და ნათესაობითში ჩვეულებრივ ასეთ სახეს მიიღებს: **მენაბდე→მენაბდის წიგნი; მებუკე→მებუკის მანქანა; მამალაძე→მამალაძის გამოსვლა**.

ჩემ მიერ დაწუნებული ფორმები – ეს გაუხსნელი ენობრივი პარაშუტებია, რომლებიც მიწაზე ანარცხებენ და არცხვენენ წარმომთქმელთ, რადგან ააშკარავებენ მათ გაუნათლებლობასა და უკულტურობას. გარდა ამისა, ტელევიზორს ბევრი უსმენს და წარმოთქმული მცდარი ფორმები სწორი ჰგონია, რაც მათი გავრცელების საშიშროებას ქმნის.



**მურმან თავდიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სანთელი



**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს კავშირის წევრის, ცნობილი ენერგეტიკოსის, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრის, ღირსების ორდენის კავალრის, მრავალი გამოგონების ავტორის, დამსახურებული ენერგეტიკოსის, ბატონი**

## გოდერძი ყიასაშვილის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

# დისტრიბუციის მიკროავტობუსი... სილამაზის სალონში



**თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც 4 ადამიანი მსუბუქად დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, დისტრიბუციის მიკროავტობუსი მსუბუქ ავტომანქანას დაეჯახა, რის შემდეგაც ის სილამაზის სალონის შესასვლელს შეეჯახა. დაშავებულებიდან ერთ-ერთი სალონში მყოფი პირია. არსებული ინფორმაციით, მძღოლმა თავი შეუძლოდ იგრძნო და სწორედ ეს გახდა ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი.**

# არასრულწლოვანზე მოძალადეს – 16-წლიანი პატიმრობა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვნის გაუპატიურების ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

**„ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა 14 წლის არასრულწლოვანზე იძალადა და გააუპატიურა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო არასრულწლოვნის გაუპატიურების ფაქტზე და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“,** – აცხადებენ საქართველოს პროკურატურაში.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

# აზუსტებს:

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში** (3 აპრილი, 2023 წელი №38) აკადემიის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარმოსადგენ საბუთების ჩამონათვალში გამორჩენილია სიტყვა **„ავტობიოგრაფია“**.

# ვიქტორ რცხილაძის ახალი კრებული

გამოიცა გერმანელ ფილოსოფოსთა წერილების კრებული: **ფრანც ფონდ ბაადერი** – საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული მოთხოვნილება, რათა დამყარდეს რელიგიის პოლიტიკასთან ახალი და უფრო შინაგანი კავშირი; **კარლ რანერი** – თეოლოგიური ასპექტი ეშმაკეული შეპყრობილობის შეფასებისთვის; **ვოლფჰარტ პანენბერგი** – ბოროტებისა და განსაცდელის დაძლევა თავად ღვთის მიერ; **ჰაინრიხ შოლცი** – ომი და ქრისტიანობა.

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ცნობილმა მთარგმნელმა და ფილოსოფოსმა **ვიქტორ რცხილაძემ.**

წიგნი იყიდება: ლატერნა; პარნასი; სანტა-ესპერანსა (ლენინგრადის 12); ბუქმარკი (არაყიშვილის №5).



# ჟურნალისტთა მორიგი თავყრილობა

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა გიწვევთ კავშირის მე-6 (17) ყრილობაზე 2023 წლის 8 აპრილს, შემოქმედებითი კავშირის ოფისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №17ე, დღის 2 საათზე (რეგისტრაცია დაიწყება ერთი საათით ადრე).

**დღის წესრიგი:**

1. თანათავმჯდომარეთა ანგარიში;
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. ცვლილებები წესდებაში;
4. ახალი თავმჯდომარის, გამგეობის, სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. სხვადასხვა.

**მოწვეული დელეგატების დასწრება სავალდებულოა!**

# ქართველები უცხოურ მძაფრსიუჟეტიან ფილმში



**Netflix-ის მძაფრსიუჟეტიანი ფილმის, Extraction 2-ის ახალი ტრეილერი გამოვიდა, რომელშიც მთავარი როლის შემსრულებელ კრის ჰემსვორტთან ერთად ქართველი მსახიობებიც ჩანან.**

Extraction 2-ში მსახიობები **თინათინ დალაქიშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი** და **დათო ბახტაძე** მონაწილეობენ. მათთან ერთად ფილმში ასევე ვიხილავთ ქართველ მკლავჭიდელ **ლევან საგინაშვილსაც.** ისინი სავარაუდოდ ქართველ გმირებს ასახიერებენ. ფილმში ასევე ვიხილავთ **თორნიკე ბზიავას, ანდრო ჯაფარიძესა** და სხვებს.

Extraction 2-ის დიდი ნაწილი პრაღაში გადაიღეს. მართალია თავიდან გადაღებები ავსტრალიაში იგეგმებოდა, თუმცა Covid-19-ის პანდემიის გამო გეგმები შეიცვალა. ფილმის მეორე ნაწილში კრის ჰემსვორტის პერსონაჟი ცდილობს, ქართველი განგსტერებისგან ოჯახი დაიხსნას, რომელიც ციხეში ჰყავთ დატყვევებული. ფილმის პრემიერა 2023 წლის 16 ივნისს შედგება.

# ჰარი პოტერი სერიალებად გაგრძელდება



**WARNER BROTHERS-თან მოლაპარაკებები ჰარი პოტერის სატელევიზიო შოუზე წარმატებით მიმდინარეობს. სერიალის თითო სეზონი ჯეი ქეი როულინგის თითო წიგნზე იქნება დაფუძნებული. წყაროს ცნობით, სერიალი სცენარისტებს მისცემს საშუალებას, მეტად ღრმად შევიდნენ როულინგის წიგნების სამყაროში.** ჰარი პოტერის სერიალთან დაკავშირებით ჭორები პირველად 2021 წელს გავრცელდა. ორი წლის შემდეგ თემა კვალავ აქტუალური გახდა და ამჯერად მოლაპარაკებები ჰარი პოტერის მსახიობებთან დაწყებულია.




# VOGUE-ის რჩეულებს ასაკი ვერ აშინებთ

**106 წლის ტატუ-არტისტი აპო ვანგ-ოდი ჟურნალ Vogue-ის ფილიპინური ვერსიის გარეკანის გმირი გახდა.** აპო ვანგ-ოდი მსოფლიოში უხუცესი ტატუ-არტისტის წოდებას ატარებს. ტატუების კეთება მან 16 წლის ასაკში დაიწყო, ბოლო 15 წელია კი მასთან ტატუს გაკეთების ათასობით მსურველი ჩადის მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

# NOKIA მთვარეზე




**ფინური ტრანსნაციონალური კომპანია Nokia 2023 წლის ბოლომდე მთვარეზე მობილური ქსელის 4G ამოქმედებას გეგმავს. ამის შესახებ CNBC კომპანიის პრეზიდენტზე, პეკა ლუნდმარკზე დაყრდნობით იტყობინება.**

არსებული ინფორმაციით, ქსელის მუშაობისთვის საჭირო ტექნიკას დედამიწის თანამგზავრზე უახლოეს თვეებში SpaceX-ის ხომალდი ჩაიტანს. 4G-ს სადგურების განთავსებას შეკლტონის კრატერში გეგმავენ, რომელიც მთვარის სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს.

4G-ს NASA-ს მისიის Artemis-1-ის ფარგლებში გამოიყენებენ, რომლის მიზნებიც მთვარეზე ადამიანის დაბრუნება და ყინულის მოძიებაა. 4G კი ასტრონავტებს უფრო სანდო კავშირით უზრუნველყოფს, ვიდრე რადიოსიგნალები.

# ყველაზე ღრმად ბინადარი თევზი



**იაპონიის სიახლოვეს, იძუ-ოგასავარას ღრმულში მეცნიერებმა ლოკოკინა თევზები რეკორდულ სიღრმეზე გადაიღეს. აღმოჩენა დასავლეთ ავსტრალიისა და ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა გააკეთეს. მათ ოკეანეში ავტომატური კამერა ჩაუშვეს, რომელმაც თევზები 8 336 მეტრის სიღრმეზე დააფიქსირეს. შედეგად, ზღვის ლოკოკინა გახდა თევზი, რომელიც ოკეანეში ყველაზე დიდ სიღრმეზეა გადაღებული.**

მეცნიერებმა ახალი რეკორდსმენის დაჭერა ვერ მოახერხეს, თუმცა 8 022 მეტრის სიღრმეზე რამდენიმე თევზის მოპოვება შეძლეს. აღმოჩნდა, რომ ეს ზღვის ლოკოკინების სახეობა Pseudoliparis-ის წარმომადგენლები არიან. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეკორდსმენი თევზი აღმოაჩინეს სიღრმეზე, რომელიც მაქსიმუმია ნებისმიერი თევზის არსებობისთვის და თუ მომავალში ეს რეკორდი შეიცვლება, ეს მაქსიმუმ რამდენიმე მეტრით მოხდება. აქამდე ეს რეკორდი ამავე ოჯახის წარმომადგენელ თევზს ეკუთვნოდა, რომელიც მარიანის ღრმულში, 8 178 მეტრის სიღრმეზე გადაიღეს.

# ეწინააღმდეგებიან მაკრონის ახალ კანონპროექტსაც

**საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ საფრანგეთმა უნდა გააუმჯობესოს პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობა და მთავრობა ზაფხულის ბოლოს აპირებს, მიიღოს შესაბამისი კანონპროექტი.**

ემანუელ მაკრონის თქმით, კანონპროექტი ეფუძნება შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 184 მოქალაქის გადაწყვეტილებას, რომლებიც ამ საკითხს დეკემბრის შემდეგ განიხილავდნენ. ამ მოქალაქეების 76%-მა აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ ევთანაზიას მათთვის, ვისაც ეს სურს. მედიის ცნობით, საფრანგეთის ექიმთა ეროვნული საბჭო მაკრონის ინიციატივას ეწინააღმდეგება. ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ევთანაზია დაშვებულია. ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია პასიური ევთანაზია, რა დროსაც, პაციენტის მოთხოვნით, ზოგიერთი სამედიცინო მკურნალობა ჩერდება, რაც ადამიანის სიკვდილს იწვევს. **ევთანაზია დაშვებულია ბელგიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგსა და ესპანეთში.**

# პარიზელები ელექტრო-სკუტერების წინააღმდეგ



**პარიზში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მოქალაქეთა 90% მხარს უჭერს ელექტროსკუტერების აკრძალვას. ოფიციალური მონაცემებით, გამოკითხვაში მონაწილეობა 103 000-მა ადამიანმა მიიღო, მათგან 91 300-მა საკუთარი პოზიცია ელექტროსკუტერების წინააღმდეგ დაადასტურა.**

რეფერენდუმი მას შემდეგ დაინიშნა, რაც საფრანგეთის დედაქალაქში ელექტროსკუტერების გამოყენებით დაშავებულთა და დაღუპულთა რიცხვმა მკვეთრად მოიმატა. შეგახსენებთ, პარიზი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელმაც ელექტროსკუტერები შემოიღო, თუმცა, კრიტიკოსების თქმით, მათ უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სარგებელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 6 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5517; ევრო - 2.7734;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1547;
100 რუბლი - 3.2768; თურქული ლირა - 0.1329;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5032;
1000 სომხური დრამი - 6.5344

**ამინდი 5 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +22 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +24 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +23 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge